

140  
1946

№12


დოკუმენტები

1946 წ.



კ ი ნ ე რ ი





# კ ი თ ნ ე რ ი

საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის  
ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საბავშვო შუბნალი  
1946 წელი  
წელიწადი 21-ე

გამომცემლობა „კომუნისტი“

№ 12  
დეკემბერი

## ნიკოლოზ ჩაჩავა

### მადლობა სტალინს

მიხარია, რომ ქართველი მქვია,  
და საქართველოს მზეზე გავზრდილვარ.  
აქ თოვლშიც ღვივის ვარდი და ღვია,  
აქ ზამთარშიც კი ზეიმობს დილა.

მიხარია, რომ საბჭოთა ოჯახს,  
ჩემი პატარა ქვეყანაც ერთვის.  
ველარ შეჰკივლებს წითურა ხოჯა  
თბილისის კარებს, მარაბდას, ხერთვისს.

მიხარია, რომ ქვეყანა სრული  
გაბრწყინებული შესცქერის კობას,  
მოუსვენარი ჩვენი წარსულიც  
დამშვიდებული უყურებს მყოფადს.

ქართველო ჩემო, დღე რომ ბრწყინდება  
ჯანში გამჯდარა იმედი ხვალის.  
აღორძინებას, ქვეყნის დიდებას  
ჩვენ ვუმაღლოდეთ მშობლიურ სტალინს!





## სჯაღინუკი კონსტიტუციის ათი წაღი

1936 წლის 25 ნოემბერი მარადღაუფიწყარი თარიღია საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის. ამ დღეს კრემლის დიდი სასახლის დარბაზში საბჭოების სრულიად საკავშირო VIII საგანგებო ყრილობაზე სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ მოხსენებით გამოვიღა ამხანაგი სტალინი.

მთელი ხალხი სულგანაბული უსმენდა დიდი ბელადისა და მასწავლებლის უბრალო და ბრძნულ სიტყვებს ახალი კონსტიტუციის შესახებ. ეს იყო მოხსენება საბჭოთა ხალხის მიერ განვლილი სახელოვანი გზის შესახებ, მის უდიდეს მონაპოვართა შესახებ.

5 დეკემბერს საბჭოების ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა პროექტი კონსტიტუციისა, რომელიც წარმოადგენს სსრ კავშირის ძირითად კანონს. ეს სხივმოთილი ისტორიული დღე გახდა საერთოსახალხო ზეიმის — სტალინური კონსტიტუციის დღე.

ხალხმა ახალ კონსტიტუციას მისი შემოქმედისა და სულისჩამდგმელის სახელი უწოდა. თვითიული მისი მუხლი გამოხატავს ღრმა სიბრძნეს, სტალინური გენიის ძალას.

სტალინურმა კონსტიტუციამ საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს დიდი უფლებები მიანიჭა, და მადლიერი ხალხი ძალ-ღონეს არ შურავდა, რათა თავდადებული ბრძოლითა და შრომით კიდევ უფრო განემტკიცებინა საყვარელი სამშობლოს ძლიერებისილება.

დიდი სამამულო ომის დროს სტალინური კონსტიტუცია ჩვენი სამართლიანი საქმისათვის ბრძოლის დროშა იყო. ხალხი გამირულად იცავდა ყველაფერს, რაც ოქროს ასოებითაა ჩაწერილი კონსტიტუციაში. ჩვენ ვიცავდით სოციალისტური ქვეყნის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, უფლებას ნათელი და ბედნიერი ცხოვრებისა, ჩვენს აწმყოსა და მომავალს — და გავიმარჯვეთ, რადგან:


„შუქს გრიგალში გვფენდა მზე თავისუფლების,  
და ლენინი დიდი გვინათებდა გზას.  
გაფუზრდივართ სტალინს ერთგულებად ქვეყნის,  
რომ გამირობით, შრომით ვემსახუროთ ხალხს“.

სტალინური კონსტიტუციის ათი წლისთავს, რომელმაც გვიჩვენა ამ კონსტიტუციის დიდი ძალა და ცხოველუნარიანობა, საბჭოთა ქვეყანა ხვდება მჩქეფარე, დაუღალავი შემოქმედებითი შრომის ვითარებაში, როცა სორციელდება მეოთხე ხუთწლედის გეგმა — ჩვენი უბედნიერესი მომავლის გეგმა.

საბჭოთა ახალგაზრდობას სტალინურმა კონსტიტუციამ მიანიჭა სწავლია და შრომის უფლება, საშუალება მისცა დაეუფლოს კულტურას, მეცნიერებასა და ტექნიკას. ჩვენი წმიდათაწმიდა ვალია დავაფასოთ ეს ზრუნვა და ყველაფერი გავაკეთოთ სამშობლოს დიდებისათვის.

სტალინური კონსტიტუციის დროშა ამაყად ფრიალებს გამარჯვებულ საბჭოთა ქვეყანაზე, მისი შუქით განათებულია კომუნისმის კაშკაშა აწვევრვალისაკენ მიმავალი გზა.

F 886  
4/30





## დღეგრძელი იყოს...

დღეგრძელი იყოს ეს კერა,  
მამულის წმინდა ალაგი,  
ბაღებში გაშენებული,  
ქართლის პატარა ქალაქი!

ეს ციხე, შეუდრეკელი,  
სალ კლდეზე უფრო მაგარი,  
უტყბესი ძუძუ ქართლისა —  
გმირის ნათელი აკვანი!

დღეგრძელი იყოს ეს სახლი  
ხალხთა დიდების მშობელი,  
სიცოცხლის, თავისუფლების  
პირველი მახარობელი!

დღეგრძელი იყოს ეს კერა,  
მუდამ სინათლის მთოველი.  
ხალხთა მხსნელის და ნუგეშის  
დიდი სტალინის მშობელი!

### გიორგი კაჭახიძე

## ერთი ჩვენი სამშობლო

სამშობლო ჩვენი დიდია,  
დიდი სინათლის მომცემი,  
იგი გვზრდის, იგი გვამაღლებს  
დიდი საქმით და ოცნებით.

უმეგობრობა მის შვილებს  
სიზმარშიც არ გვაქვს განცდილი;  
თბილისში ვიცით, რით ხარობს  
უკრაინელი ყმაწვილი.

ვიცით, რას ფიქრობს სკოლიდან  
შინ მიმავალი ჩუვაში;  
ჩვენც გვართობს, რუსი ბიჭუნა  
ცივას რომ მართავს ურალში.

სკოლის ზარს მინსკში რომ რეკენ,  
წკრიალი გვესმის იმ ზარის;  
გვატკობს უზბეკის ოცნება,  
ყირგიზის ტკბილი სიზმარი.

მათაც მზე უყვართ კაშკაშა,  
ხიბლავთ მტკვრის მწვანე ნაპირიც,  
თბილისი, მისი მთაწმინდა,  
მისი ლამაზი აპრილი.

ერთი გვაქვს დედა-სამშობლო,  
მზის და გმირების ქვეყანა,  
ხმა ძმობის, ხმა მეგობრობის  
მან ზარდა, მან შეგვაყვარა.







# მოსკოვის დაცვა

ხუთი წლის წინათ, 1941 წლის 22 ივნისს, ჩვენს ქვეყანას თავს დაესხნენ გერმანელი ფაშისტები. მათ სურდათ მოესპოთ მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყანა, დაემოხებინათ საბჭოთა ხალხი, ხელთ ეგდოთ ჩვენი უმდიდრესი მიწა-წყალი.

გერმანელი ავაზაკები ვარაუდობდნენ რამდენიმე კვირაში დაემარცხებინათ წითელი არმია, აეღოთ მოსკოვი და ურალამდე მისულიყვნენ.

დაიწყო დიდი საბჭოთა სამამულო ომი, რომლის ფრონტი გაჭიმული იყო ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე.

ომის დასაწყისშივე წითელმა არმიამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა დიდი სტალინი, საფსებით გააქარწყლა ფაშისტების გეგმა. ბელორუსიაში, ბალტიისპირეთსა და სმოლენსკის რაიონში ჩვენი ჯარების თავდადებულმა ბრძოლამ შეასუსტა მოსკოვისა და ლენინგრადის წინააღმდეგ მომართული იერიშები. ამჯერად სმოლენსკმა, ისევე როგორც 1812 წლის სამამულო ომში, როდესაც შესანიშნავ სარდალ პეტრე ბაგრატიონის მეთაურობით რუსეთის ჯარის ნაწილი აჩერებდა ნაპოლეონის რჩეული მარშლების იერიშებს, ღირსეულად შეასრულა თავისი ისტორიული როლი.

წითელმა არმიამ პირველი გამანადგურებელი დარტყმა გერმანელებს მოსკოვთან აგემა და მოსკოვისათვის ბრძოლა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი ფურცელია.

1941 წლის 18 ოქტომბერს გერმანელებმა მოჟაისკი აიღეს და მოსკოვს შეუტიეს. ამხანაგ სტალინის მიერ ხელმოწერილი სპეციალური დადგენილებით მოსკოვში საალყო წესები გამოცხადდა. მოსკოვის მშრო-


მელებმა საყვარელი ღედაქალაქის დასაცავად მოხალისე ბატალიონები შექმნეს, ფართო თხრილებით, უამრავი საცეცხლე წერტილთა და ძელმიწურით შემორკალეს.

სასტიკ ბრძოლებში წითელი არმია უდიდეს ზარალს აყენებდა გერმანელებს. ქალაქმა ტულამ გმირულად მოიგერია გენერალ გუდერიანისა და ლემელზენის სატანკო არმიების იერიშები, რომლებიც ლამობდნენ ტულაზე გავლით მოსკოვისათვის ზურგიდან დაერტყათ. ასევე ჩაიშალა გერმანელთა ცდა—ქალაქ კალინინზე გავლით ჩრდილოეთიდან გაჭრილიყვნენ მოსკოვისაკენ. ამრიგად, გერმანელთა შეტევამ ოქტომბერში სრული კრაზი განიცადა.

გერმანელი ფაშისტები არავითარ ზარალს ანგარიშს არ უწევდნენ და გადაწყვიტეს ზამთრისათვის, რაღაც არ უნდა დასჯდომოდათ აეღოთ მოსკოვი. ამ მიზნით 16 ნოემბერს მათ ახალი შეტევა დაიწყეს და მოსკოვის წინააღმდეგ დაძრეს 18 სატანკო მოტორიზებული და 33 ქვეითი დივიზია. ამჯერად ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ მოსკოვს აიღებდნენ. ჯერ კიდევ 7 ნოემბერს ამხანაგმა სტალინმა წითელ მოედანზე შემდეგი სიტყვებით მიმართა საბჭოთა მეომრებსა და პარტიზანებს:

„თქვენ შემოგყურებთ მთელი მსოფლიო, როგორც ისეთ ძალას, რომელსაც ძალუძს მოსპოს გერმანელ დამპყრობთა მძარცველური ურდოები. თქვენ შემოგყურებენ, როგორც განმათავისუფლებლებს, ევროპის დამონებული ხალხები, რომელნიც გერმანელ დამპყრობთა უღელქვეშ მოექცნენ. თქვენ წილად გხვდათ დიადი განმათავისუფლებელი მისია. მაშ იყავით ამ მისიის ღირსნი!“





მდგომარეობა 1942 წლის თებერვალ-მარტისათვის

მდგომარეობა 1941-42 წლების დასაწყისისათვის

საქართველს თქვენ ხელავე წითელი არმიის მდგომარეობას 1941—1942 წლის ზამთარში. შტრიხებიანი ისრაბით ნაჩვენებია გერმანელთა გეგმა მოსკოვის გარემორტყმისა. გვირუკულმა წითელმა არმიამ ჩაფუხა გერმანელთა გეგმა. ამხანაბ სტალინის ბრძანებით წითელი არმია გადავიდა კონტრშტებებზე და უკუბრუნდო გერმანელები მოსკოვიდან. დიდი ისრაბით ნაჩვენებია ჩვენი ჯარების წინსვლა დასავლეთისაკენ.





საბჭოთა მეომრებს დედის ლოცვასავით ჩასწვდათ გულში დიდი ბელადის ეს სიტყვები და, მართლაც, მოსკოვისათვის ბრძოლაში საბჭოთა მეომრებმა არსებული სიმტკიცე გამოიჩინეს. ჩვენს მესიერებაში არასოდეს არ წაიშლება სახელოვანი 28 გმირი პანფილოველის ხსოვნა, რომლებმაც პოლიტხელ კლოჩკოვთან ერთად 16 ნოემბერს მტრის 50 ტანკი უკუაქციეს.

„რუსეთი ვრცელია, მაგრამ უკან დასახევი გზა არა გვაქვს. უკან მოსკოვი!“ — ასე მიმართა კლოჩკოვმა თავის თანამებრძოლებს, გრანატების კონა დაიკიდა, ეკვეთა მტრის ტანკს და მათთან ერთად აფეთქდა. მის მაგალითს მიბაძეს დანარჩენებმაც. იმავე დღეს პანფილოველებს მახლობლად გმირულად იბრძოდნენ მეოთხე სატანკო ბრიგადის ოთხი ტანკის გუნდები. მათ უკან არ დაუხევიათ. ყველანი გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე.

დიდი გმირობა გამოიჩინეს აგრეთვე გენერალ დოვატორის ნაწილებმა, რომლებიც ყველგან გასაოცარ სიმტკიცესა და ნებისყოფას იჩინდნენ და სახელოვნად ასრულებდნენ დიდი სტალინის ბრძანებებს.

20 დღის განმავლობაში გერმანელებმა სანახევროდ შემოარტყეს ალყა მოსკოვს. ზოგიერთ ადგილას ისინი დედაქალაქს თითქმის 25 კილომეტრით იყვნენ დაცილებული, მოსკოვისაკენ მიმავალ 11 სარკინიგზო ხაზიდან შევიდნენ მათ ხელში იყო. გერმანიის გაზეთები 2 დეკემბერს ღამით მორიგ ნომრებში თავისუფალ ადგილებს ინახავდნენ, რათა გამოექვეყნებინათ მოსალოდნელი ცნობა მოსკოვის დაცემის შესახებ. გერმანიის მთავარსარდლობა ემზადებოდა წითელ მოედანზე საზეიმო პარადის ჩატარებისათვის. და, აი, სწორედ იმ მომენტში, როდესაც ჰიტლერელები უკვე გამარჯვების საზეიმოდ ემზადებოდნენ, მათ თავს დაატყდა შემემუსვრელი დარტყმა წითელი არმიისა. უმაღლესი მთავარსარდლის

ამხანაგ სტალინის ბრძანებით 6 დეკემბერს ჩვენი ჯარები, ავიაციის დახმარებით კონტრიერიშზე გადავიდნენ, ფოლადის მარშუტში მოიმწყვდიეს გერმანელთა შემოჭრილი სოლები და სასტიკად გაანადგურეს.


6-დან 10 დეკემბრამდე განთავისუფლებულ იქნა დიდი ქალაქები სოლენჩნოგორსკი, სტალინოგორსკი, მიხაილოვი, იახრომა, ისტრა, როგაჩევი და 400 სხვა დასახლებული პუნქტი. გერმანელთა უკანდახევა უკვე პანიკურ გაქცევად გადაიქცა. 22 იანვრისათვის ჩვენმა ჯარებმა გერმანელები ანგან გაათავისუფლეს მოსკოვის ოლქის უკანასკნელი რაიონული ცენტრი — უვაროვო. 1941-1942 წლის წამთრის კამპანიის ოთხი თვის განმავლობაში ფაშისტური არმია მოსკოვიდან უკუგდებულ იქნა 400-ზე მეტ კილომეტრზე.

მოსკოვმა გაიმარჯვა. გერმანელების გეგმა მოსკოვის აღების შესახებ სამუდამოდ ჩაიფუშა. მოსკოვის მისადგომებთან გერმანელების განადგურებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი სამამულო ომის მსვლელობაზე. ამით ბოლო მოეღო მითს გერმანელთა არმიის უძლევლობის შესახებ. მოსკოვთან პირველი სერიოზული დამარცხება იგემა ჰიტლერის არმიამ და ამის შემდეგ მათ დაკარგეს ის დროებითი სამხედრო უპირატესობა, რაც ომის პირველ თვეებში ჰქონდათ საბჭოთა კავშირზე გერაგული და უეცარი თავდასხმის გამო. ... „საკმაო იყო გერმანელთა არსენალში გამჭრალიყო უეცრობის მომენტი, რომ გერმანიის ფაშისტური არმია კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა“. (სტალინი).

მოსკოვის კარიბჭესთან ფაშისტების განადგურების შემდეგ წითელ არმიას ხელიდან არ გაუშვია ინიციატივა და 1945 წლის 9 მაისს სავსებით განადგურებულ იქნა ფაშისტური ურჩხული — გერმანია. ჩვენმა არმიამ გამარჯვების დროსა ააფრიალა ბერლინი.







# ჯუმბერის დანაშაული



აკლასო ოთახში შევიდა თუ არა, ქუდი და წიგნები მერხის უჯრაში შეყარა და დაფასთან მდგარ ამხანაგებს

მიუსალმებლად შესძახა:

- ვაჰ, რა თამაში იყო!
- ბიჭებმა მოიხედეს. ჯუმბერმა იკითხა:
- გუშინ ხომ იყავით სტადიონზე?!
- არა!

გივი ახლოს მივიდა ჯუმბერთან და დანანებით თქვა:

— ძალიან მინდოდა წამოსვლა, მაგრამ გაკვეთილი...

— ე, ასეთ თამაშს როგორ დააკლდებოდა კაცი!

არჩილი მოტრიალდა, ცარციტ მოსვრილი ხელი მჩვარზე შეიწმინდა.

— ლამაზი თამაში ყოფილა, რადიომ გადმოაცა შედეგები...

— საქმე ისაა, იქ უნდა გენახა!

— იქ ვერ ვნახეთ და გვიამბე მაინც! — დაინტერესდა გივი.

— გიამბობთ! — ამაყად თქვა ჯუმბერმა, მერე მერხზე შესკუპდა და ფეხებიც ზედ შეაწყო.

— თამაშის დაწყებამდე გული საშინლად მიცემდა. ხუმრობაა?! ასეთი მოწინააღმდეგე, ცხრამეტი მოგება, ერთი ყაიბი, მთელი გუნდი სულ დარჩეული ბიჭებია, აი, ეგეთი ფართო ბეჭები (ჯუმბერმა ხელები გაშალა). კაპიტანი უნდა ნახო. პირველი ბურთი თბილისელებმა გაიტანეს. მე და რეზომ მტრედები ავაფრინეთ. ჯუნო სიხარულით აცეკვდა, ქუდს ისროდა და ხმამაღლა ყვიროდა. მაგრამ მალე იმათ გაქვითეს ანგარიში... კიდევ სამი ბურთი გაიტანეს და პირველი ტაიმი დამთავრდა ოთხით ერთზე!

— ასე მაგრად არასოდეს არ წაუგიათ ჩვენებს! მერე? — არ ისვენებდა გივი.

— დაიწყო მეორე ტაიმი და სულ მალე ჩვენებმა ოთხი ბურთი გაიტანეს. ტაშით ზანზარებდა სტადიონი, მოვიგეთ 5:4.

ბიჭებმა ტაში შემოკრეს. არჩილი მხოლოდ ილიმებოდა. გოგი ყირაზე გადავიდა სიხარულით.



— მართლა კარგი თამაში ყოფილა!  
— ასეთი?! ჩემს დღეში არ მინახავს! —  
დინჯად დაასკვნა ჯუმბერმა. იგი ისევ თა-  
მამის ცალკეულ ეპიზოდებს იგონებდა.  
ბოლოს არჩილი წამოდგა და დაფასთან  
მივიდა.

— ახლა კი განვაგრძობთ!  
— ეგ რა ამოცანაა?!—იკითხა ჯუმბერმა.  
— არ იცი?! დღეს ხომ საკონტროლო  
წერაა ალგებრაში!  
— ვაჰ, მე სულ არ მოგმზადებულვარ!  
— შე არ გითხარი გუშინ, რომ უნდა  
გვემეცადინა?!

— თამაშს მაგისტრის გავაცდენდი?! ერ-  
თი შენც! უდარდელად ჩაიქნია ხელი ჯუმ-  
ბერმა, მაგრამ შემდეგ მერხიდან ჩამოხტა  
და სერიოზულად თქვა:  
— ვეფხო,—ასე მიმართავდა ყოველთვის  
ჯუმბერი არჩილს, — შენ ხომ ჩემი ძმა  
ხარ!

არჩილმა წერა შეწყვიტა.  
— იცი რა? როცა შენ გამოიყვანო, მეც  
გადამაწერინე, და ხელათ...  
ჯუმბერმა არ დაამთავრა და ეშმაკუ-  
რად თვალი ჩაუკრა.  
— არა,—თქვა არჩილმა, — პატივცე-  
მულმა მიხეილმა რა გვითხრა, დაგავიწყ-  
და?

— კარგი, რა ვეფხო! ის საიდან გაიგებს!  
— არა, ეს ხომ მოტყუებაა, მასწავლე-  
ბელს არ მოვატყუებ! მე პიონერი ვარ.

— ახალი ამბავი! პიონერი მეცა ვარ! მაშ  
მე ორიანი მივიღო, ეს უფრო კარგი იქნე-  
ბა?!

— რათა, შენც აგერ ჩვენთან ერთად იმე-  
ცადინე!

— ახლა გვიანაა, კონსპექტის მეტი არა-  
ფერი მიშვევლს!

— კონსპექტს ვერ მოგცემ, — გადაჭრით  
თქვა არჩილმა.

— ერთი ამას დამიხედეთ! შენ ყოველ-  
თვის გლახა იყავი, მშობარა!

— რატომ გგონია?!

— ლაჩარი!  
ჯუმბერმა ხელი წაჰკრა არჩილს.

— რა მოგივიდათ, რა გაჩხუბებთ! არ  
გრცხვენიათ, ერთად ვიმეცადინოთ!—ჩაე-  
რია გივი.

— არ მინდა, მე შენ განახებ!—დაემუქ-  
რა ჯუმბერი არჩილს, წამოხტა და კარში  
გაიჭრა.

ალგებრა მეორე გაკვეთილი იყო.

როცა გაკვეთილი დამთავრდა, შესვენე-  
ბის დროს, კარში გასვლისას, ჯუმბერი ამ-  
ხანაგებს ჩამორჩა, შეუღმჩნევლად არჩილის  
მერხიდან ალგებრის რვეული გამოიღო და  
ჯიბეში ჩაიღო.

— აბა, ვნახოთ! — ჩაილაპარაკა თავის-  
თვის დამუქრებით.


იმ დღეს საკონტროლო წერა ჩატარდა.  
ჯუმბერმა ყველაზე ადრე დაამთავრა. რო-  
ცა არჩილმა რვეული მასწავლებელს ჩაა-  
ბარა, მან გადახედა ნაშრომს და თავი გა-  
იქნია. ამოცანა რამდენიმე ადგილს ჩასწო-  
რებული იყო და მელნით მოთხვრილი.

\* \* \*

მეორე დღეს, როდესაც მასწავლებელმა  
გასწორებული ნამუშევრები მოიტანა, თავისი  
კმაყოფილება გამოთქვა: მოსწავლეთა  
უმრავლესობას სწორად გადაუწყვეტია  
მოცემული ამოცანათ. მიხეილ ნარიმანისძის  
ფართო სახეს მეტი სიამოვნებისაგან ნათე-  
ლი, მიმზიდველი იერი ეძლეოდა. მან მოი-  
წონა ჯუმბერ ჯალიაშვილის ნამუშევარი.

— ხედავთ, ყმაწვილებო! ჯუმბერს ორი-  
ანი ჰქონდა. ახლა კი ბეჯითად უმეცადი-  
ნია. წერაში სამი დაგუწერე. ამ მეოთხედ-  
ში ჯუმბერი ზეპირშიაც თუ სამს მიიღებს,  
მე კმაყოფილი ვიქნები.

ყველამ ჯუმბერისაკენ მიიხედა. იგი ასე-  
თი ქებისაგან დამორცხვებული იდგა. შემ-  
დეგ მიხეილ ნარიმანისძემ ორ მოსწავლეს,  
ბოჩიკაშვილსა და ნოზაძეს, უსაყვედურა:





მათ ისევ ორიანი რჩებოდათ ამ მეოთხედში.

ბოლოს, როცა უკანასკნელი რვეული აიღო, გაშალა და შუბლი შეიჭმუნა.

— შენ კი გემდური, ვეფხვაძე!—დანანებით თქვა მასწავლებელმა.

— რა მოგივიდა, ვეფხო! — გადაულაპარაკა ამხანაგს გვიმი. ყველას ეუცხოვა მასწავლებლის სამდურავი არჩილისადმი.

— არჩილი! იმ დღეს წერის დროს რატომღაც დღეღავდი... რა მოგივიდა, განმარტებები არ არის ზუსტი, რვეული მოსვრულია მელნით. მე ოთხი დაგიწერე: ეს ამოცანა ხომ ჩვეულებრივი იყო შენთვის!

— პატივცემულო მასწავლებელო, — თავაუწვევლად დაიწყო არჩილმა, — წინა დღეს სწორედ ეს ამოცანა გამოვიყენე შინ. ჩემი ძმის ამოცანათა კრებულში შემხვდა!

— მჯერა, მაგრამ წერის დროს რათ დღეღავდი?

— ჯუმბერმა გააჯავრა! — წამოიძახა ვიღაცამ.

— კარგი, გეთაყვა, აბა, მაჩვენე შენი საეარჯიშო რვეული.

არჩილი დუმდა. მასწავლებელს ხმაში სიმკაცრე დაეტყო.

— ვეფხვაძე! ამ ბოლო დროს ჯიუტობაც დაიწყო? მომიტანე რვეული!

— რვეული დავკარგე, მასწავლებელო!

— ხომ ვთქვი, — სასწრაფოდ წამოდგა მიხეილ ნარიშკინსძე — არ მოველოდი ამას შენგანი!

არჩილს ცრემლები წასკდა. მასწავლებელი აღელვებდა ვერ მალავდა. უკანა მერხიდან უცებ ჯუმბერის ხმა მოისმა. იგი სიტყვას ითხოვდა. ყველამ იქით მიიხედა. ჯალიაშვილი თავჩაღუნული იდგა.

მასწავლებელი ნელი ნაბიჯით, აუჩქარებლად მივიდა ჯალიაშვილის მერხთან.

— ჯუმბერ, შენ რაიმე გინდოდა გეტყვა?! — ბავშვს ენა დაება, ხმა ვერ ამოიღო, თავა ვედარ მოერია და ტირილი აუვარდა.

— ჯალიაშვილო, რაშია საქმე? ყველა დაინტერესდა. არჩილსაც დაავიწყდა თავისი ამბავი.

— მგონი, რაღაც გინდოდა გეტყვა. ცუდად ხომ არ ხარ, ჯუმბერ? ექიმს დავუძახებ!

— მასწავლებელო...

— რა მოგივიდა ბიჭო, ვის გაუგონია უმიზეზოდ ტირილი!

— დამნაშავე ვარ, მასწავლებელო... წამოიყვირა ბავშვმა და ახლა უფრო უმატა ტირილს. ის მთელი ტანით ძაგდაგებდა.

— კარგი, ჯუმბერ! დამშვიდდი! მასწავლებელმა გულზე მიიხუტა ის. ბავშვმა ახლა კი ვერ მოითმინა.

— არჩილის რვეული მე წავიდე, იქიდან გადავიწერე ამოცანა, მასწავლებელო...

— მაშ, ასე იყო?! — იკითხა მასწავლებელმა. ტყუილად გავჯავრებდით ვეფხვაძეს. ტირილი რის მაქნისია, ჯუმბერ! დაუფიქრებელი ნაბიჯი არ უნდა გადაგედგა!

მასწავლებელი ნელი ნაბიჯით მივიდა კათედრასთან და ერთ ხანს დაფიქრებული იდგა. შემდეგ მოტრიალდა, თითქოს არაფერი მომხდარიყო, ცარცი ხელში აიღო და სანამ დაფაზე ახალი ამოცანის წერას შეუდგებოდა, კლასს მიმართა:

— ბავშვებო, ვაპატიოთ ჯომბერს! მან თვითონ აღიარა თავისი დანაშაული.

მასწავლებელი ახალი ამოცანის წერას შეუდგა. კლასი სიამოვნებით შეიშმუნა.

კლე ბოზონიძე

**შვილო, ძეგის სიხარულო**

ჩემო გულის სიხარულო,  
გაფურჩქვნილო, ვარდად შლილო;  
სიცოცხლეო, სიყვარულო,  
გამახარე სწავლით, შვილო!  
დედის გულის ნეტარებავე,  
გაიზარდე სასახელოდ,  
ვიცი, მარად გეყვარება  
სტალინი და საქართველო!  
მშობელთ ზრუნვა და ამაგი,  
ვიცი, შვილო, მარად გახსოვს,  
მიხდა გახდე ისე კარგი,  
რომ ქვეყანამ დაგაფაზოს!

წარჩინებულს, პატიოსანს  
შვილს შეჭხარის მშობლის გული  
განთიადის შუქით მოსავს  
მას სამშობლოს გაზაფხული.  
ჩემო შვილო, ცოდნის ნაყოფს,  
მწამა, იგემებ, ახვადაც არგებ,  
მოვეაწრები მალე კნახო  
ჩვენი ხალხის მოამაგე!  
ჩემო გულის სიხარულო,  
გაფურჩქვნილო, ვარდად შვილო,  
სიცოცხლეო, სიყვარულო,  
გამახარე სწავლით, შვილო!



# ზამთრის სვეთარი

თოვლის ბაბუა გვესტუმრა  
ქამანჩითა და სტვირით,  
მღერის რომ „მამულს ძველადაც  
ჰყოლია ბევრი გმირი.

მაგრამ ახალი სხვა არის,  
სხვა ვაჟკაცობის მჩენი,  
მან აამაღლა სამშობლო,  
ის სიცოცხლეა ჩვენი.

მისი სინათლით იხსნება  
ქვეყნად სიმართლის კარი,  
დასძლია ქარიშხალები,  
აღმოაბრწყინა დარი.

მთელმა მსოფლიომ გაიგო  
მისი გმირობის ძალა;  
თქვენც მისი დროშა დაგნათით,  
მისი აღერსი გფარავთ.

მე გარდავსულვარ, მაგრამ თქვენ  
დიად მომავალს ელით,  
აი, ხომ ხედავთ მოგვადგა  
ქარზე ახალი წელი.

ჩემებრ დაგფაროთ ჭაღარამ,  
გქონდეთ ხანგრძლივი დღენი,  
გეტარებინოთ ცხოვრება  
სიბღერითა და ლხენით.

თავდადებულად გესწავლოთ,  
როგორც სამშობლოს უნდა.  
და საქართველოს სახელი  
გედიდებინოთ მუდამ“.



თოვლის ბაბუას სიბღერა  
მთის წყაროსავით მოქუხს,  
შემოხვევიან ბავშვები,  
ყურს მიუპყრობენ მოხუცა.

თოვლის ბაბუას სტუმრობ  
აქ სიხარულად იქცა;  
ზევიდან ცვივა ფანტელი,  
როგორც ფიქრები ცისა.






# ჩემი მეგობარი

გინო ნაკვიძი

ნახატები შ. ცხადაძისა



დღეს, ბავშვებო, მინდა ვიამბოთ ერთი ჩემი საუკეთესო მეგობრის შესახებ,—დაიწყო პაპამ, თეთრ წვერზე ხელი ჩამოისვა და ცოტა ხანს ჩუმად იყო.—დიად, მეგობარი ბევრი მყავდა ცხოვრებაში, ახლაც მყავს, მაგრამ ერთი მეგობარი მყავდა, რომელმაც ყველაზე უფრო გაჭირვებულ დროს, სიკვდილს გადამარჩინა და სიცოცხლისათვის ბრძოლის უსარი გამიღვიძა. გაგიკვირდებათ, როდესაც გაიგებთ, ვინ იყო ეს მეგობარი, ნამდვილი, გულითადი მეგობარი.

— ვინ იყო, პაპა, ვინ? — დავიყვირეთ ჩვენ.

— ვინ იყო? დაიცაო, თავიდან მოგიყვებით და შეიტყობთ. დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ მე მაინც ყველაფერი მახსოვს.

მაშინ ახალგაზრდა ვიყავი. ჩვენი ქვეყანა რევოლუციის ცეცხლში იყო გახვეული. მე, როგორც რევოლუციონერი მუშა, მეფის მთავრობამ დამატუსაღა. რამდენიმე წელიწადს ვიჯექი სხვადასხვა ციხეში—ბათუმში, ქუთაისში, თბილისში. შემდეგ სამუდამო გადასახლება გადამიწყვიტეს და ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის სანაპიროს ერთ-ერთ ციხეში განმარტოებულ საკანში ჩამსვეს...

ოჰ, რა საშინელება იყო ეს საკანი! ახლაც რომ მაგონდება, ყრუანტელი მივლის ტანში.

ათი თვის განმავლობაში ზამთარი... ფანჯრები სქელი ყინულით დაფარული... სიბნელე... ოჰ, გული მეხუთებოდა.

დღეში ერთჯერ შემოდიოდა საკანში ჩემი დარაჯი, დაღვრემილი პეტრო, შემოიტანდა ნაჭერ პურს, უგემურ ბორშს, წყალს, პატარა მაგიდაზე დადებდა ყველაფერს და უნძოდ გავიდოდა. ხანდახან ვფიქრობდი, პეტრე მუნჯია მეთქი: ჩემს იქ ყოფნაში ერთი სიტყვაც არ უთქვამს. ერთხელ, მახსოვს, ვემუღარე—მითხარი, სად ვარ მეთქი... იქნება არ დაიჯეროთ და ავტირდი კიდევ!

— და არაფერი გითხრა? — შევყვირეთ ჩვენ.

— არაფერი! ჩაღუნა თავი და გავიდა.

— უჰ, რა საძაგელი ყოფილა! — გაისმა აქეთ-იქიდან.

— მე მგონია, აკრძალული ჰქონდა ჩემთან ლაპარაკი და ეშინოდა,—წარმოთქვა პაპამ და განაგრძო:—ზაფხულობით, როდესაც ფანჯრებზე ყინული ღვებოდა, ფანჯარას აღებდნენ და რჩებოდა რკინის მაგარი გისოსი. ნატუსაღოს გისოსს აქ მოყვანამდისაც შეჩვეული ვიყავი, მაგრამ რაც პირველად დავინახე, იმან გამაოცა: ირგვლივ გაშლილიყო თვალუწვენი ყინულოვანი ზღვა, თითქოს ხმელეთი აღარსად იყო ამ ქვეყანაზე, თითქოს დედამიწა ჩაეყლაპა ზღვას და მხოლოდ წყალი დაუფლებოდა ქვეყანას. ერთბაშად შევშინდი კიდევ, გული შემეკუმშა, მაგრამ საღლაც შორს დავინახე გემის მილის კვამლი, თეთრი ფრინველები დაფრინავდნენ და ყინულზე ხანდახან გამოჩნდებოდა დიდი თეთრი დათვი.

ოჰ, როგორ მენატრებოდა, ბავშვებო, ამ დათვის ბედი!

ორთვიანი ზაფხული სიზმარივით გავიდა, ფანჯარა დაიკეტა და სრული სიჩუმე ჩამოვარდა. აღარც ზღვის ღმუილი და აღარც ყინულის მტვრევის ხმა არ არღვევდა საშინელ სიწყნარეს.

ასე გავიდა წლები, არ მახსოვს რამდენი—ორი სამი თუ მეტი... ყოველნაირი იმედი მომესპო, ბავშვებო, და თავის მოკვლა გადავწყვიტე, მაგრამ ვიფიქრე კიდევ დასეცადა ზაფხულისათვის, ერთხელ კიდევ მენა-



ხა ჩრდილოეთის ციალი, კიდეც დამენახა გემის მილის კვამლი და ყინულებზე მოსიარულე თეთრი დათვი.

როგორც კი გააღეს ჩემი ფანჯარა, ჩრდილოეთის ციალი დავინახე. ღმერთო ჩემო, ბავშვებო, ჩრდილოეთის ციალზე უმშვენიერეს სანახაობას ვერ წარმოიდგენს ადამიანი! ათასნაირი... რას ვამბობ, ასიათასნაირი ელვარე ნაპერწკლების ციმციმა სიმები მარაოსავით გამოლილა ცის კაბადონზე და, როგორც ოქროს მზის სხივებით გაშუქებული, ელვარე ფარდა, ეშვება ზღვაზე.

უყურებ ამ საოცარ სანახაობას და თვალს ვერ ამორებ, ირგვლივ ყველაფერი გავიწყდება—ცხენე, ფანჯრის რკინის გისოსიც, ჭამაც და სმაც, დგახარ მოჯადოებული და გატაცებით შესცქერი ციალის ბრწყინვალე თოთოლვას.

მშვენიერია ციალი, მაგრამ ცივია, — ვფიქრობდი, მე კი მწყუროდა სითბო, სითბო, მაგრამ სად იყო! თვალს მაინც ვერ ვამორებდი მის წარმტაც სანახაობას.

ერთხელ, როდესაც დილით საჭმელი მიიტანეს და ის იყო პური ავიღე ხელში, პეტრომ ფანჯარა გააღო და ციალმა შემოანათა... აღარ მახსოვს, როგორ მივირბინე ფანჯარასთან, როგორ მივიტანე ხელით პურის ნაჭერი და თვალები ამ სანახაობას მივაპყარი, უცებ ვიღაცამ პური ხელიდან გამომტაცა... შევხედე, შევშინდი.

ეჰ! პური ხომ ვეება თეთრმა დათვმა გამომგლიჯა ხელიდან და ახლა გულიანად სანსლავდა. ხანდახან თავს მაღლა სწევდა და ნელა ღმუროდა... უნებლიედ გავხტი განზე და ყურება დაეშუქე.

წარმოიდგინეთ შიშთან ერთად, რაღაც სიხარულიც ვიგრძენი ცოცხალი არსების სიახლოვეზე და სიამოვნებით შევსცქეროდი, როგორ ჭამდა ჩემს პურს თავის ქნევით და თანაც თითქოს გაცივებული მიყურებდა.

შეჭამა პური, ცოტა ხანს კიდეც იღვა ფანჯარასთან, მერე თავი დააქნია და რხევით წავიდა... თავისუფლად ამოვისუნთქე, გამიხარდა, რომ ფანჯარას რკინის გისოსი ჰქონდა. (მე დაბავიწყდა მეთქვა თქვენთვის, რომ ჩემი საკვანი პირველ სართულში იყო და დათვს ადვილად შეეძლო შემოსულიყო).

ოჰ, ნეტავ კიდეც მოვიდოდეს! მოვკითხე არა?—ვეკითხებოდი ჩემს თავს. პაპა ცოტა ხანს შეჩერდა და თეთრზე ჩამოსვა ხელი.

— მერე, მერე, პაპა, აღარ მოვიდა? — შევძახეთ ერთხმად.

— როგორ არა. ჯერ კიდეც შორიდან დავინახე, როგორ წამოეწია კისერი და ისევ ისე რხევით, მხოლოდ უფრო ჩქარა მოდიოდა ჩემი ფანჯრისაკენ.

მაშინვე პური მოვარბენინე და დავდე ფანჯარაზე. მოვიდა. აუჩქარებლად დასუბა ირგვლივ და აიღო პური.

— ჭამე, ჭამე, დათუნი,—გუთხარი მე. — რა კარგი დათუნი ხარ, რომ მოხვედი!


დათვმა თითქოს გაკვირვებით შემომანათა თვალები და თავი დააქნია, თითქოს უნდოდა რაღაც ეთქვა.

— ხვალაც მოდი, დათუნი, პურს შეგინახავ.

თითქოს გაიგო, თავს აქნევდა. შეჭამა პური, კიდეც კარგა ხანს იღვა და იყურებოდა შიგნით, თითქოს ჩემს საკანს ათვალეიერებდა.

— არ მოგწონს, დათუნი, ჩემი საკანი? ოჰ, რა მძიმეა აქ ცხოვრება! თავს რად აქნევ, არ გჯერა?

— უუ,—ნელა, ნელა დაიღმევა დათვმა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ბავშვებო, როგორ გამეხარდა, ასე მეგონა, რომ ხმა გამცა, და სიხარულით კინაღამ ავტირდი. რამ-





დენი ხანი ვიჯექ ციხეში და პირველად გავიგონე ცოცხალი არსების ხმა!

ის დინჯად მოტრიალდა და ზღვისაკენ წავიდა.

პური საკანში ბევრი მქონდა: ბლომად მოჰქონდა ჩემს უხმო დარაჯს და კუთხეში ეყარა. ავარჩიე საუკეთესო ნატეხები და დათუნასთვის მოვაშაღე.

დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვიდოდა, და მართლაც მოვიდა.

— გამარჯობა, დათუნი!— შევძახე მე.

— უუუ!— დაიღმუვლა ჩემ ხმაზე და შეუდგა ჭამას.

— დათუნი, ხედავ, რა უბედური ვარ ამ საკანში გამოძწყვდეული?! შენ არ იცი, დათუნი, რა შორი ქვეყნიდან ვარ გადმოგზავნილი. ჩემს სამშობლოში ახლა მწვანე ბაღებში აურებელი ხილია, ლეღვი, ატამი, ყურძენი...

— უუუ, — ისევ დაიღმუვლა მან ნელა, თითქოს გაიგო ჩემი ლაპარაკი, და გული თბილად შემეკუთმია...

ასე დავმეგობრდი მე და ოკეანეს თეთრი დათვი.

ის ყოველდღე მოდიოდა ჩემთან, ნელა ჭამდა, ნელა აქნევდა თავს, ნელა არხევდა უზარმაზარ თეთრ ტანს. და მეც, როგორც მეგობარს, ეუამბობდი ჩემს ცხოვრებას სამშობლოში, მუშათა ბრძოლას თავისუფლებისათვის, გურულებისა და აჭარლების აღსადგენი შესახებ ჩვენს ქალაქში, შავ ჩაქურაში რომ ვიყავი გამოწყობილი და შეიარაღებული. შემდეგ როგორ ააწიოკეს მთელი გურია მეფის მთავრობის გამოგზავნილმა რაზმებმა, როგორ გადაწყვეს თავისუფლებისათვის მებრძოლი გლეხების სახლ-კარი და სხვ.

დიდ, როგორც ნამდვილ მეგობარს არაფერს არ ვუმაღავდი. დათვის, თითქოს ესმოდა ყველაფერი, თითქოს თანაგრძნობით აქნევდა თავს და იძახდა „უუუ. უუუ“. და ეს მისი „უუ“ მალამოდ ედებოდა ჩემს დაღლილ გულს.

იმ ზაფხულს არც ერთჯერ არ გამივლია გულში თავის მოკვლის სურვილი. იმედი მომეცა, რომ ოდესმე გაიღებოდა რკინის კარი და მეც თეთრი დათვივით თავისუფლად ვიგრძნობდი თავს.

დაზამთრდა, ფანჯარა დაიკეტა, ჩამობნელდა ჩემს პაწია ქვის საკანში და ისევ ველოდი გაზაფხულს, ველოდი ლამაზი ციანის დანახვას კი არა, დიდი თეთრი დათვის მოსვლას.

ოჰ, რა ნელა გადიოდა დრო, მაგრამ თავი სასიკვდილოდ აღარ მენეტებოდა.

ვაგროვებდი პურის ნატეხებს და სულთოდ ვუნახავდი ჩემს მეგობარს.

გავიდა გრძელი და მოსაწყენი საათები. გააღეს ფანჯარა და პირველ დღესვე შორიდანვე დავინახე ჩემი დათუნი. ზღაზღანით, რხევით და თავის ქნევით მოდიოდა ყინულებზე, მაგრამ მარტო კი არა, უკან ორი პატარა თეთრი ბელი მოსდევდა.

— ოჰ, დათუნი, რა მიხარია, რომ მოხვედი! ესენი შენი შვილებია?— უუუ, უუ! ასწია დრუნჩი და დაიღმუვლა.

პატარებმაც ბანი მისცეს:

— უუუ, უუუ!

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სულ დამავიწყდა შიში და მოკრძალება. ავიღე პური, გავტეხე სამად და ერთი მივაწოდე, რადგანაც მინდოდა პატარებისათვისაც მიმეწოდებინა, მაგრამ, ბავშვებო, თქვენ იქნებ არ დაიჯეროთ და ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ძუ დათვიმ პურის ნატეხი პატარა ბელს დაუღო წინ. მე მაშინვე მეორე ნატეხიც მივაწოდე. ისიც მეორეს გადაუღდო და მესამე კი თვითონ მიირთვა. სამივე ჭამდა სიამოვნებით და დროდადრო გაისმოდა მათი „უუ—უუუ“.

მე კიდევ გადავუყარე პურის ნატეხები.

შეჭამეს, გამხიარულდნენ და შემდეგ სირბილი და ჭიდაობა დაიწყეს პატარებმა. დედა კარგა ხანს უყურებდა, რა სასაცილოდ კოტრიალებდნენ და ტრიალებდნენ მისი შვილები.

ოჰ, რა სასაცილონი იყვნენ პატარები ჭიდაობის დროს! ერთი მეორეს რომ წააქცევდა, წაქცეული მაშინვე წამოდგებოდა და ისევ ეცემოდა გამარჯვებულს. დედა დათვი დროდადრო ნელა აქნევდა თავს. მე სიცილით ვკვდებოდი, ცრემლები მცვიოდა. კარგა ხანს იჭიდავეს პატარებმა, ირბინეს და წავიდნენ. ახლა უკან პატარები მირბოდნენ ბაჯბაჯით და უკან დიდი დათვი მიჰყვებოდა დინჯად და ღირაეულად.

მეორე დღეს ისევ ისე მოვიდნენ სამივენი. ჭამეს, ითამაშეს, გამაცინეს და წავიდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ ვავებდე და როდესაც პური მივაწოდე, თავზე ხელი გადავუსვი თბილ, რბილ თავზე.

— უუუ—უუუ, — დაიღმუვლა მან, მაგრამ შევატყვე, რომ არ ეწყინა...

მთელი ზაფხულის განმავლობაში ყოველდღე მოდიოდა დათვი თავისი ბელებიანად და ყოველთვის მქონდა მათთვის პური და ალერსიანი სიტყვები, თანაც ნაზად ვუსვამდი თავზე ხელს.

მე არ ვიცოდი, რა ხდებოდა ქვეყანაზე, მაგრამ ჩემი გული რაღაც იმედით იყო აღ-



სავსე, სიცოცხლეც მწყუროდა და შემწყვარდა დათვი, როგორც ჩემი საუკეთესო მეგობარი.

ზაფხული მიიწურა. ციალმა იკლო. დათვი ყოველდღე მოდიოდა თავის ბელებიანად პატარები წამოიზარდნენ. ხალისიანი, მხიარული დათუნები გახდნენ. ჭიდაობასა და სირბილს გარდა ყირაზე გადატრიალებაც ისწავლეს. სანამ ისინი თამაშობდნენ, დედა უკანა თათებზე იყო ჩაცუცქული და სიხარულით შესცქეროდა მათ.

ერთ დღეს ჩემი საკანის მძიმე რკინის კარი გაიღო და ვილაც კაცები შემოვიდნენ შიგ.

— ამხანაგო, — მითხრეს მათ, — თქვენ თავისუფალი ხართ! მეფის მთავრობა დაეცა, ამხანაგი ლენინი დაბრუნდა საზღვარგარეთიდან... შეგიძლიათ დღესვე გაემგზავროთ მოსკოვს...

— დღესვე?! — შევყვირე გახარებულმა.

— დღეს ან ხვალ დილით ადრე. მარხილები მზად არის.

მე მაშინვე დავიხურე ქუდი და კარს მივაშურე, მაგრამ გამახსენდა ჩემი მეგობარი.

პაპა დაჩუმდა.

— მერე, პაპა, მერე? — შევყვირეთ ყველამ.



— მერე... მერე ჩემი მეგობარი თუ არი დათვი, სამწუხაროდ, აღარ მინახავს...

პაპა ისევ დაჩუმდა და შემდეგ განაგრძო:

— მას შემდეგ დიდი ცვლილება მოხდა ჩემს ცხოვრებაში. მთელი სამი წელიწადი მოსკოვში ვიყავი. ბედნიერება მქონდა გამეცნო ამხანაგი ლენინი, ვიბრძოდი თეთრების წინააღმდეგ ამხანაგი სტალინის მეთაურობით და გამარჯვებული და თავისუფალი დავბრუნდი ჩემს ქვეყანაში, ჩემს საყვარელ სამშობლოში! — კმაყოფილების დიმილით წარმოთქვა ეს სიტყვები პაპამ და დაჩუმდა.





# ქარიშხლით შობილი

„ვაშქაცობა იზადება ბრძოლაში და  
მოწმდება განსაცდელში“.

ნ. ოსტროვსკი

ახალგაზრდობის საყვარელი მწერალი ნიკოლოზ ოსტროვსკი დაიბადა 1904 წლის 29 ოქტომბერს სოფ. ვილიაში (უკრაინა). მან ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში განიცადა კაპიტალისტური წყობილების აიდუხეპირე და უკუღმართობა. ოჯახური ხელმოკლეობის გამო ცხრა წლის ნიკოლოზი უკვე მოჯამაგირედ იყო კულაკებთან. სწავლას მოწყურებული ბავშვი 1915 წელს სკოლიდან გარიცხეს საღვთო სჯულის მასწავლებელთან უთანხმოების გამო. ამის შემდეგ ოსტროვსკი მძიმე ფიზიკურ სამუშაოზეა, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც პოულობს დროს წიგნების წასაკითხად. წიგნი ერთადერთი იმედი და ნუგეში იყო ნიკოლოზისათვის, მაგრამ ძნელი საშოვარი იყო; ამიტომ იგი ხშირად სადილზე უარს ამბობდა და საამისო ფულს ნათხოვარი წიგნების წაკითხვაში აძლევდა. ოსტროვსკიმ ბავშვობიდანვე იგრძნო სიტუციური მჩაგვრელებსადმი და აღეძრა სურვილი მათთან ბრძოლისა.

ერთხელ თერთმეტი წლის ნიკოლოზმა წვალეებით ნაშოენი რომელიღაც ფრანგი მწერლის წიგნი მოიტანა შინ. წიგნში ნაჩვენები იყო ახირებული გრაფი, რომელიც უმიზეზოდ სცემდა და უყვიროდა მსახურებს. ნიკოლოზი ხმამაღლა უკითხავდა ამ ნაწარმოებს თავის მოხუც დედას. როდესაც იგი მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც გრაფმა მსახურს ცხვირში ისე მაგრად გაარტყა, რომ თეფშები გააგდებინა, ნაცვლად იმისა, რომ მსახურს თავი დაეხარა და მორჩილი ღიმილით უკან გაბრუნებულყო, ისე როგორც ეს ავტორს ჰქონდა, გრათის საქციელით აღშფოთებულმა ნიკოლოზმა კითხვა თავისი გამოგონილი სიტყვებით განაგრძო:—მამის მსახურმა გრაფს ისე მაგრად გაარტყა სახეში, რომ გრაფის თვალებში ნაპერწკალმა იელვა. — მოიცა, მოიცა!—შეაჩერა დედამ ნიკოლოზი. — სად ნახულა, რომ გრათს სახეში სცემდნენ! ეგ მე არ მჯერა. მიჩვენე წიგნი. დი-




სურათი გადაღებულია 1925 წელს.

ახ, ასე სწერია, — ჯიუტობდა ნიკოლოზი, — დე იცოდეს გრაფმა, რომ არ უნდა სცემოს მშრომელ ადამიანს. აღლევებულმა ნიკოლოზმა შემდეგ წიგნი იატაკზე დააგდო და ყვირილი მორთო: „თუ ეს ასე არ სწერია, ამოად! მე იმ არამზადას ნეკნებს ჩაუშვებრევი!“ განსაკუთრებით უყვარდა ნიკოლოზს წიგნი ჯუშუბე ჰარიბალიზე და ვინიჩის „კრაზანა“. ამ წიგნების წაკითხვის შემდეგ მას უკვე აღარ მოსწონდა ბავშვთა შორის გავრცელებული თამაში ომიანობა და ოცნებობდა საგმირო საქმეებზე.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ოსტროვსკი მტკიცედ ჩაღვა რევოლუციის მონაპოვრის სადარაჯოზე.

1919 წ. 15 წლის ნიკოლოზი ლენინური კომკავშირის წევრი გახდა და მოხალისედ წავიდა ფრონტზე. სადაც იგი იბრძოდა კოტოვსკის კორპუსში, შემდეგ კი ბუდიონის





კავალერიაში. ამ ბრძოლებში გაკაჟდა და გამოიწრთო მისი ნებიყოფა. „მხოლოდ წინ, მხოლოდ ცეცხლის ხაზზე, სიძნელეებიდან გამარჯვებთაქვენ და მხოლოდ გამარჯვებისათვის! — ასეთი იყო დევიზი ოსტროვსკისა. 1920 წელს თექვსმეტი წლის ოსტროვსკი თავსა და მუცელში დაიჭრა.

სამოქალაქო ომის შემდეგ ნიკოლოზი ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზეა. მაგრამ ომში მიღებულია ჭრილობებმა შეარყია მისი ჯანმრთელობა. მას დამბლა დაეცა, სხეული გაუშეშდა, სინათლეც დაკარგა და ცხოვრება აუტანელი გახდა მისთვის. მაგრამ ვერც ავადმყოფობამ გატეხა მისი მტკიცე ნებისყოფა. „შესძელი ცხოვრება მაშინაც კი, როცა იგი აუტანელია, გახადე მაშინ იგი სასარგებლო სხვებისათვის“ და, მართლაც მან შაშხანა მხატვრული სიტყვით შეცვალა და ლოგინზე მიჯაჭვულმა ახალგაზრდობას მისცა ისეთი უცვლადი წიგნები, როგორიცაა „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ და „ქარიშხლით შობილნი“. ამ წიგნებმა დიდი როლი შეასრულეს საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ჯარისკაცის განუყრელი თანამგზავრი და საიმედო მეგობარი იყო. ორივე ეს ნაწარმოები გვიჩვენებს, თუ როგორ იწრთობოდა ბრძოლებში ნორჩი საბჭოთა რესპუბლიკა, როგორ იწრთობოდა კომუნისტური ახალგაზრდობა. „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ მთავარი გმირი არის პავკა კორჩაგინი სამოქალაქო ომის გმირი, ანთებული ჩაუქრობელი ცეცხლით. ოსტროვსკი ასე ახასიათებს მას: „პავკა კორჩაგინი სიცოცხლით საეჟე ახალგაზრდა იყო, რომელსაც გატაცებით უყვარდა სიცოცხლე და უყვარდა რა სიცოცხლე, ყოველთვის მზად იყო მსხვერპლად მიეტანა იგი სამშობლოსათვის“. კორჩაგინი იგივე ოსტროვსკია, პავკას სახით მისი ცხოვრებაა მოცემული. ოსტროვსკის გმირულ ცხოვრებას განცვიფრებაში მოჰყავდა უცხოელები. ერთ-ერთმა იტალიელმა ქირურგმა, რომელიც სოჩაში ისვენებდა, ნახა ოსტროვსკი და ორ


საათს ესაუბრა მას. ბოლოს გაკვირვებულმა ჰკითხა: — საკვირველია, რა გაცოცხლებთ თქვენ, როდესაც თქვენი სხეული უჭრებდები ასე დაავადებულთა? — ბატონო პროფესორო, — უპასუხა ოსტროვსკიმ. — თქვენ რომ იცოდეთ, რა მასალისაგან არიან შექმნილი ბოლშევიკები, არ გაკვირდებოდით და მიხვდებოდით, რა მაცოცხლებს მე.

1936 წელს შეწყდა ოქტომბრის ქარიშხალში შობილი და გამოწრთობილი მწერლის ცხოვრება. მან თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით მოგვცა კომუნისმისათვის გამირული ბრძოლის ბრწყინვალე მაგალითი.

ოსტროვსკის ფიცი საბჭოთა ახალგაზრდების ფიცია: „ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასი სიცოცხლეა. სიცოცხლე მას ეძლევა მხოლოდ ერთხელ და საჭიროა ისე იცხოვრო, რომ მწვავედ არ გტკიოდეს გული უმიზნოდ გატარებულ წლებისათვის, რომ არ გწვავედეს სირცხვილი უსინდისო და წვრილმანი წარსულისათვის, რომ სიკვდილის დროს შეგეძლოს თქვა: მთელი ცხოვრება და მთელი ძალ-ღონე შევადიე ქვეყანაზე ულამაზესს — კაცობრიობის განთავისუფლების ბრძოლასო“. ამ ფიცს იმეორებდა საბჭოთა კავშირის გმირი ოლეგ კოშევი, როდესაც გერმანელ დამპყრობლებს ანადგურებდა, ამ ფიცს იმეორებდა ზოია კოსმოდემიანსკაია, როდესაც გერმანელ მხეცებს სახრხოველაზე აპყავდათ, და მისი საფლავის ქვაზედაც ეს ფიცია ამოჭრილი. ოსტროვსკის ეს ფიცი საბჭოთა ახალგაზრდების დევიზია შრომისა თუ ბრძოლაში. ოსტროვსკის ცხოვრება კი ჩვენი ახალგაზრდების აღზრდის საუკეთესო სკოლაა. მისი წიგნები გვასწავლის დაუნდობელ ბრძოლას მტრების წინააღმდეგ, ორმა სიყვარულს ჩვენი ქვეყნისადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი და მთელი პროლეტარიატის ბელად სტალინისადმი.

ათი წელია, რაც ოსტროვსკი აღარ არის, მაგრამ მისი რწმენა მარადული და უძველავია.

„გამბედავების თავგამოდებას ჩვენ ვუგალობებთ ქებათა ქებას“.







## გაყვამთ გზებს მოსკოვიდან...

ფართოდაა გადაშლილი ჩვენი მშობლიური ქვეყანა. საბჭოთა ქვეყნის გულია მოსკოვი. მის ირგვლივ გაიზარდა რუსი ხალხი და ერთად შეამჭიდროვა სხვა მომეგ ხალხები. აქ დაიბადა პუშკინი—რუსული კულტურის მზე. აქ განისვენებს ლენინი—ჩვენი დიდი მასწავლებელი. აქ ცხოვრობს და მუშაობს ამხანაგი სტალინი—ჩვენი დიდი ბელადი.

მოსკოვიდან გზები განშტოვებულნი მიდიან შორს, კიდევ უფრო შორს, უკან იტოვებენ რუსეთის შუა ზოლს, გაივლიან ათასობით კილომეტრს, სანამ ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე არ გადაკვეთენ მთელს ჩვენს უზარმაზარ ქვეყანას.

ზღვისა და ტყის საზღვარზე, იქ, სადაც ბალტიის ზღვა ღრმადია შეჭრილი ხმელეთში, სდგას მსოფლიოს დიდ ქალაქებს შორის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე ქალაქი—ლენინგრადი.

ახლობელი და ძვირფასია ჩვენი, საბჭოთა ადამიანებისათვის, ეს გმირი ქალაქი — ლენინის ქალაქი. აქ დაიწყო ოქტომბრის რევოლუცია, აქ დაიბადა ახალი ქვეყანა.

ლენინგრადის ზურგს უკან ტყეები, უფრო ახლო, სადაც ტყე შედარებით მეჩხერია, სცხოვრობენ კარგლები. ეს არის ჩვენი სამშობლოს ძველსძველი ნაწილი.

კარგილაღენეთის სს რესპუბლიკიდან ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხე დებულაბს თითო ქალაქს, კარგი ხარისხის ხე-ტყეს, სრულა თხილამურებს, ფერადოვან პრიალა მარმარილოს...

აი, გზა მოსკოვიდან დასავლეთისაკენ მიდის. თქვენ ხედავთ ტყეებს, ქალებს, ხოდაბუნებს, სმოლენშინის სოფლებს — ესაა მოსკოვის კარიბჭე... მიმდებრები საესა სელით. აქ არის მესაელიბობს მთავარი რაიონი მთელს ევროპაში.

## ბელორუსიიდან ბალტიისპირეთისაკენ

სმოლენშინის უკან, რუსეთის დასავლეთ საზღვრებთან, მდებარეობს მომეგ ხალხის მიწა-წყალი—ბელორუსიის სს რესპუბლიკა. ქარიშხალმა გადაიარა ბელორუსიის მიწა-წყალზე—იგი მოაოხრეს ჰიტლერელებმა. მაგრამ საბჭოთა ბელორუსია ნაწვრებიდან დგება. ირგვლივ თავდადებული შრომა. ისე როგორც უწინ ბელორუსი მუშების გაწაფული ხელები ახლაც აძლევენ ქვეყანას ტრიკოტაჟსა და ტანსაცმელს, ბელორუსიის ხე-ტყის ნაწარმს—ვერხვის ასანის, ნაძვის მერქნიდან ვაკეთებულ ქაღალდს.

1940 წელს ბალტიისპირეთის ხალხების ნებასურვილით შეიქმნა ზღვისპირად მდებარე ლიტვის ლატვიისა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები, რომლებიც საბჭოთა კავშირში შემოვიდნენ. ისინი მრეწველობის მხრივ აარგად განვითარებული რესპუბლიკებია.

ფაშისტურ გერმანიამ ვამარჯვების შემდეგ ჩვენს ხელში გადავიღა ბალტიის ზღვის გაუყინავი ნავსადგური—აღმოსავლეთ პრუსიის დედაქალაქი კენიგსბერგი, ახლა კალინინგრადი.

## გზებილავს ჩვენი უკრაინა...

აი, გზა მოსკოვიდან სამხრეთისაკენ მიდის. ოკას იქით უფრო თბილი და მშრალი ჰავაა. ნაძვარს სცვლის მუხნარი, პორიბონტი ფართოვდება. ნიადგი მუქდება. აქ, რიანის,

კურსის, გორონეთის, ტამბოვის... ოდნავ აბორცვებულ, თითქმის უტყეო ვაკეზე, უხვადაა პურის ყანები.

სითბო თანდათან მატულობს. ველი ფართოვდება. ძელურ სახლებს სცვლიან კირით შეთეთრებული ქოხები, მეტია სამრეწველო ქალაქები, შესანიშნავი ბაღები, უხვმოსავლიანი შავი ნიადაგი. მიმდებრებში ბიბინებს ოქროსფერი პურეული, მწვანედ ხასხასებს შაქრის ქარხლის ნათესი. კარპატებიდან დონამდე, პოლესიიდან შავ ზღვამდე გულსა და თვალს გვიხარებს ჩვენი უკრაინა, ლამაზია დედაქალაქი კიევი. სამხრეთის მარგალიტია გმირი ქალაქი ოდესა. ერთ-ერთი დიდი სამრეწველო ცენტრია მუშური ხარკოვი.

დონბასში ქვანახშირია. მასთან ასლოა ყველაფერი, რაც საჭიროა მეტალურგიისათვის: კრივოი როვში—კრინის მადანი, ნიკოპოლში—მარგანეცი, იმავე დონბასში—კირქვა.

უკრაინის ქვანახშირი ლენინგრადამდე აღწევს, უკრაინელი ფოლადისაგან მანქანებს აკეთებს მოსკოვი, ჩრდილოეთში მდებარე ქალაქები დებულაბენ უკრაინულ პურს. ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხეში მშრომელების მაგიდაზეა უკრაინული შაქარი.

უკრაინის ქვანახშირი ლენინგრადამდე აღწევს, უკრაინულ ნას, მაგრამ იგი სწრაფი ნაბიჯებით მიდის წინ აღდგენისა და ახალი განვითარებისაკენ. ბრძმელები ადნობენ თუჯს, შახტები იძლევიან ქვანახშირს. შენდება ახალი სოფლები, ნანგრევებიდან დგებან ქალაქები. და შორს არაა დრო, როცა უკრაინა წინანდელზე უფრო მდიდარი იქნება!

## დნესტრის ვადალმა

მდინარე დნესტრის ვაღმა მდებარეობს მოლდავეთი—ნაყოფიერი მიმდებრების, ხეხილის ბაღებისა და ვენახების ქვეყანა. ოდიზე რუსეთის საკუთრება ეს მიწა-წყალი 1940 წლამდე რუმინელი ბოიარების ხელში იყო. ახლა მოლდავეთი მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკაა. რუსებისა და უკრაინელების დახმარებით მოლდაველები ეღობსნენ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

## რუსეთის ბარაქიანი სამხრეთი

ნაესა და კასპიის ზღვებს შორის მრავალია ინდუსტრიული ქალაქი. მათ ირგვლივ, სადაც მოედინებიან მდინარეები დონი, ყუბანი და თირგი, გადაშლილია ფართო ვაკე. აქ, სამხრეთის თბილი მზის ქვეშ, მწოდდება პურეულის ყანები, მიძინედ თავჩაღუშული მტკაველათავთაეები... მიმდებრები საესა საქონლის ჯოგებით. სოფლები ბაღ-ვენახებში შაქრდება და ქარვისფრდება ყურძენი, წითლად ეღვარებს ბალი, ალუბალი... ეს არის კავკასების საკოლმეურნეო მიწა-წყალი, რუსეთის მადლიანი და ბარაქიანი სამხრეთი.

## კავკასიონის იქით...

კავკასიონის მთავრებილი ჰვეთს ტრამალებს. მთავრების ერთ მხარესაა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები.

ამირკავკასიის ხელი ნათელი და მრავალფეროვანია. ზღვის სანაპიროებზე ჩამწკრივებული მარამწვანე პალმების ჩრდილიდან სჩანს მთებზე მდებარე მარადიული თოვლ-ყინული. ამ მომხილავ მხარეში ნახავთ ნესტიან ჯუნგლებს, მხურვალე ტრამალებს, საფეხტრებად დაყოფილ ჩაის პლანტაციებს, ვენახებს, სიბინდის ყანებს, წიწვოვან ტყეებს, ალპიტრ საძოვრებს...



# დ ე კ ა ვ შ ი რ ი ო მ შ ი რ ი



ამიერკავკასიის რესპუბლიკების მეურნეობა მკიდრლოდა დაკავშირებული სსრ კავშირის ეკონომიკასთან. ჩვენი ქვეყნის ყოველი ოთხი ატომობილიდან სამი ბაქოს ბენზინით მუშაობს. მთელი ჩვენი ქვეყნისათვის საქართველოში მწოდდება მანდარინი, ლიმონი ფორთოხალი, ძხარდება ჩაის ნაზი ყლორტები, დუღს და ღვინოდ იქცევა ყურძნის წვენი, ჩვენი ქვეყნის მრავალი შენობა აგებულია სომხეთის ვარდისფერი ტუფისაგან, ბევრი სხვადასხვა ნაკეთობა გამოქვილილია სომხეთის სპილენძისაგან.

ყოველი ჩვენგანი ოცნებობს ხშირად ნახოს გორი—დიდი სტალინის სამშობლო.

## ს ა ბ ზ ო თ ა შ უ ა ა ზ ი ა

კასპიის ზღვის იქით, ალტაის მხარემდე გადაჭიმულია კახახეთი — მშრალი ველი, რომლის ტერიტორია უდრის დასავლეთ ევროპის ნახევარს.

სტალინური ხუთწლიელების მანძილზე კახახები დაბინადრდნენ, მეცხოველეობასთან ერთად ხელი მოჰკიდეს მიწათმოქმედებას. გარდა ამისა კახახეთი ქვეყანას უხვად აძლევს ქვანახშირს, ნავთობს, ტყედასა და იშვიათ ლითონებს.

სამხრეთით მდებარეობენ საბჭოთა შუა აზიის რესპუბლიკები—უზბეკეთი, თურქმენეთი და ყირგიზეთი.

აქ მშრალი ველები გადადიან უდაბნოებში — მზე მეტია, ტენი ნაკლები. პაპანაქება, ირგვლივ სილა, მეჩხერი და ხე-შეშე ბალახი. ეს მიწა-წყალი საცესებით ღარიბ-ღატაკი იქნებოდა, რომ სამხრეთით, ტაშკენტის უკან, მას არ ჰქვეოდნენ მთების გრუნბილები. ცადაზიდული ჰამირ-ალტაი და ტიან-შანი თაიანთი მხრებით აჩერებენ ატლანტიკის შორეულ სუნთქვას. იგი იქცევა გლეტჩერების ყინულად და მწვერვალებზე უხვად მდებარე თოვლად, წარმოშობს მდინარეებს, რომლებიც აცოცხლებენ მიხედვარე ველის ნაწილს. მთის ფერდობებსა და ველებზე საძოვრებია, ხოლო მორწყულ ოაზისებში წარმოტაცდა ამწვანებული და აყავავილებული ბაღები, მინდორები...

## გ ო ლ გ ა — რ ო ს ე თ ი ს დ ე დ ა მ დ ი ნ ა რ ე

აი, გზა მოსკოვიდან აღმოსავლეთისაკენ მიდის. იგი ჰქვევს ვოლგას.

ევროპის ეს ყველაზე დიდი მდინარე ძლივს შესამჩნევ ნაკადულად იბადება ვალაის პატარა ქაობში, გზადგზა იზრდება, ვაივლის საკოლმეურნეო მინდორებს, ჩაუვლის ინდუსტრიულ ქალაქებს, ვაივლის მთელს ჩვენს ქვეყანას რყევოდან ასტრახანამდე და გაჰქრება კასპიის ზღვაში.

მარადსაყვარელია ეს მდინარე საბჭოთა ადამიანებისათვის. მის ნაპირთან მდებარეობს სტალინის ქალაქი—სტალინგრადი, რომელშიც ჩვენი სასარგებლოდ შემთავრდნა სამამულო ომის მსგავსეობა.

## უ რ ა ლ ი დ ა ც ი მ ბ ი რ ი

ვოლგის აქეთ, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გადაჭიმულია ურალი — ზღურბლი ევროპასა და აზიის შორის.

მთაწილოში არაა მდინეულით უფრო მდიდარი ადგილი. ურალის მთაგრეხილის მთელს სიგრძეზე მოიპოვება რკინა, აქ არის აგრევე სპილენძი, კალდუმის მარილი, გოგირდის ალ-

მადანი, ნავთობი, ოქრო. ნიკელი, ალმასი. მთელს მსოფლიოში ურალი სახელგანთქულია პლატინით, აზბესტით, ზურ-მულტით, იასპით, მთის ბროლით, მალაქიტით, ამეთის-ტოთი...

ურალის იქეთ მდებარეობს ვეებერთელა ციმბირი. საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიქმნა მსხვილი მრეწველობა. კუზ-ბასი ბევრ ქვანახშირს აძლევს ციმბირსა და ურალს, მკვნი-ტოგორსკის მადნიდან ციმბირი აღნობს ლითონებს.

ციმბირის ჩრდილოეთი! ეს არის მსოფლიოში ყველაზე დიდი ტყე. წიწვოვანი ტყის ოკეანე გადაჭიმულია მთელს ციმბირზე—ურალიდან კამჩატკამდე.

ციმბირი გვაძლევს ოქროს, ძვირფას ბეწვეულს, ნიკელს, კალს, ქვანახშირს, ხე-ტყეს. ტაიგა დასერილია საპაერო ტრასებით. უმოარეს მდარობებშიც კი უახლესი მანქანებია დადგმული.

## ვ ლ ა დ ი ვ ო ს ტ ო კ ი დ ა ნ ბ ე რ ი ნ გ ი ს ს რ ო შ ე მ დ ე

შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა მიწა-წყალი გადის წყნარი ოკეანის სანაპიროზე და გადაჭიმულია ხუთი ათას კილომეტრზე—ვლადივოსტოვიდან ბერინგის სრუტემდე. აპონთანზე გამარჯვების შემდეგ ჩვენს ტერიტორიას შემოემატა სამხრეთ სახალინი და კურილის კუნძულები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში შორეული აღმოსავლეთი გახდა „სტალინური ახალშენებლობა“. ზღვის სანაპიროზე აშენდა თევზის ქარხნები, ტაიგაში ექსპლოატაციოში შევიდა ახალი მდარობები, სახალინზე დაიწყეს ნავთობის ამოღება, ქალაქებში ამუშავდა მანქანათმშენებელი ქარხნები.

## დ ი ა დ ი \* მ ვ ე შ ა ნ ა — ს ა ბ ზ ო თ ა კ ა ვ შ ი რ ი

ასეთია სსრ კავშირის მიწა-წყალი. იგი უხვადაა მორწყული ჩვენი წინაპრების ოფლითა და სისხლით; იგი გამოთბარია საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარულით. სიამაყით დავეურებთ რუკას: აი, ჩვენი სამშობლო, მსოფლიოს მეექვსედი ნაწილი, უმდიდრესი ქვეყანა მთელს სამყაროზე.

მსოფლიოში არაა სსრ კავშირზე უფრო მრავალფეროვანი ქვეყანა. იაკუტიაში უფრო მეტი სიცოცხეა, ვიდრე ჩრდილოეთ პოლუსზე, ხოლო ყარა-ყუმის უდაბნოში უფრო ცხელა, ვიდრე ეკვატორზე. როცა აზხაბადის რაიონში ჰური მწიფდება, მაშინ ამურის ნიკოლაევსკიო სახლები სახურავამდე თოვლშია ჩაფლული, ჩრდილოეთში მდინარე ლენა რვა თვის განმავლობაში ყინულითაა დაფარული, ხოლო საქართველოს მდინარე რიონი სრულებით არ იყინება.


მრავალფეროვანია ჩვენი ზუნება, მრავალფეროვანია აგრეთვე აქ ადამიანის შრომა. ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობენ და მუშაობენ მძლავრი და მტკიცე ადამიანები. მტერთან უსამინე-ლეს ბრძოლებში საბჭოთა ადამიანებმა დაიცვეს სამშობლო და ახლა დაუღალავი შთაგონებული შრომით ამდიდრებენ მას.

ასმილიონიანი რუსი ხალხი წინ მიუძღვის სხვა მოძმე ხალხებს, თვითველ ჩვენს ხალხს აქვს თავისი საკუთარი სამშობლო, ყოფაცხოვრება, ენა, კულტურა. ისინი არიან თანასწორ-უფლებიანი, მათ აქვთ აგრეთვე საერთო სამშობლო—ლიაი. მძლავრი საბჭოთა კავშირი.





# რუსი ხალხის დიდი პოეტო?



იაროსლავლის ოლქში არის რუსი ადამიანისათვის ერთი მეტად ძვირფასი ადგილი—სოფელი გრეშნიოვო. 1821 წელს აქ დაიბადა რუსული პოეზიის მშვენიერება — ნიკოლოზ ნეკრასოვი. გრეშნიოვოზე გადიოდა ციხიბრთაქენ მიმავალი დიდი გზა—ვლადიმირკა. ამ გზის პირას იდგა ნიკოლოზის მამის—მემაძულე ალექსი ნეკრასოვის სახლი. პატარა ნიკოლოზს ხშირად დაუნახავს, თუ როგორ მიაბიჯებდნენ ამ გზაზე გაციმბირებული რევოლუციონერები, ხშირად გაუფონია მათი ბორკილების გულისმომკვლელი ჩხარუნი, მოუსმენია მათი მწარე ამოთხვრა, შეუმჩნევია ცრემლიანი მათი თვალები.

იქვე, სახლის მახლობლად, გორაქს ქვემოთ, ხანტად მიედინება ზღვასავით წყალუხვი და ვრცელი მდინარე ვოლგა. ბევრჯერ უნახავთ პატარა ნიკოლოზი ბექობზე გადამდგარი. ოცნებით გართული ის გაპყურებდა მზეზე სარკვესავით მოლაპლაპე ვოლგის ზედაპირს, ნელა მოძრავ გემებს, კარჭაპებს, ტივებს. ზოგჯერ ბავშვს სული წაძლევდა, თავის ტოლობიჭებთან ერთად შეახტებოდა მებადურთა მიტოვებულ ნავს, მიცურდებოდა კუნძულზე, თოფით ხელში დასდევდა ან უთვალთვალებდა ტყის ფრინველსა და დაბინდებისას შინ ბრუნდებოდა ნანადირევით—როჭოთი, ტყის ქათმით ან გნოლით. უფრო ხშირად ნიკოლოზს ხედავდნენ მდინარის პირად მოფუთულსე ხალხში. ის დიდხანს უმზერდა ჯამბარაში შემბულ მღუშა-გლეხკაცებს—ბურღაკებს, რომლებიც ჭაპანწყევტით ნაპირისაკენ მოათრევდნენ დატვირთულ კარჭაპებს. აკვირდებოდა ქარისა და სიციხისაგან დამწვარ, ჯაფისა და დარდისაგან დაღარულ მათ სახეება, გულში სწვდებოდა მათი სიმღერა—სევდიანი ძლიერი და ლაღი „დუბინუშკა“, ხოლო ბურღაკთა ნადვლიანი ამოთხვრა ისე აფორიაქებდა ბავშვის გულსა და გონებას, რომ ცრემლებს ვერ იკავებდა, ცდილობდა

მოშორებოდა მათ, გაქცეულიყო, მაგრამ არა საკუთარ სახლში.

შინ პატარა ნიკოლოზს არ მიუხაროდა: იქ ეგულებოდა გოროზი მამა, ყმების მრისხანე ბატონი, რომელსაც მუდამ პირზე ეკერა—გაროზგეთ, გაწყებლეთ, გააციმბირეთ ეგ არამზადა გლეხებო. ნიკოლოზ ნეკრასოვს მთელი თავისი არსებით უყვარდა დედა და, როცა მამა ანადიროდ ან საღმე სტუმრად წავიდოდა, მთელს დღეებს განუშორებლად დედასთან ატარებდა. გატაცებით ყურს უგდებდა მისგან მოყოლილ ზოპარებსა და თქმულებებს, მარტვიად და გასაგებად ნაამბობ შექსპირის ტრაგედიებს, დანტეაა და მილტონის უკვდავ ქმნილებათა შინაარსს.

რვა წლის ნიკოლოზი მოაშორეს დედის კალთას, ტოლ-ამხანაგებს და იაროსლავლის გიმნაზიაში მიაბარეა. რამდენიმე წელს დაპყრო იქ ყმაწვილმა ნეკრასოვმა, მაგრამ სკოლას მისთვის არაფერი მიუტია. უხეშმა, უმეცარმა, ურთიერთშორის მოკინკლავე მასწავლებლებმა არათუ შეაყვარეს, არამედ გული აუცრუეს სწავლაზე ახალგაზრდას. განროსხებულმა მამამ შეიღოს სკოლა მიატოვებინა და პეტერბურგს გაგზავნა სამხედრო სასწავლებელში. მაგრამ ოფიცრობა არ აზიდავდა ჭაბუქს. მას უნდოდა და დედაც ამას ურჩევდა — მიეღო ისეთი განათლება, შეეძინა ისეთი ცოდნა, ხალხს რომ გამოადგიბოდა. და ნიკოლოზი შევიდა უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად.





შვილის ურჩობით განრისხებულმა მამამ ყოველგვარი დახმარება შეუწყვიტა მას. ჰაბუკი აუტანელ გაჭირვებაში ჩავარდა. ამ წლებში, — მოგვიტხოვს მსახიობი ქალი შუბერტი, — ნეკრასოვი თავისი გარეგნობით ისეთ საცოდავ შთაბეჭდილებას სტოვებდა, რომ ჩვენ მას უბედურს ვუწოდებდით. — ვინ მოვიდა? შემეკითხებოდა ხოლმე დედა, — უბედური? შია, ალბათ! გოგო, გამოუტანე, თუ რამ გადაგვრჩა სადილზეო.

განსაკუთრებით საბრალო იყო ის ზამთრის თვეებში. საოცრად ფერმკრთალი, ცუდლად ჩაცმული, სიცოცხისაგან სულ ცახცახებდა და მხრებში იწურებოდა. ხელები გალურჯებული ჰქონდა, პალტო არ ეცვია, ყელზე შემოხვეული ჰქონდა ხელით ნაქსოვი დაგლეჯილი წითელი შარტი. ერთხელ იმდენად გავთავხედდი, რომ შევეკითხე: რატომ გაქვთ ასეთი შარტი? მან მკაცრად შემომხედა და მკვახედ მიპასუხა: — ეს შარტი დედაჩემის მოქსოვილია.

აი ეს ახალგაზრდა კაცი, რომელმაც ამდენი ტანჯვა და სიმწარე გამოიარა, დობროლუბოვის სიტყვით რომ ვთქვათ, ვახდა რუსთა უსაყვარლესი პოეტი, რუსული პოეზიის კეთილი სათავეების წარმომადგენელი, მისი სიცოცხლისა და ძალის გამომსახველი.

ნეკრასოვამდე არც ერთ სხვა რუს პოეტს ისეთი გზებით არ უმღერია შრომისა და მშრომელი ადამიანისათვის, როგორც უმღერა ნეკრასოვმა. არც ერთ სხვა პოეტს ისეთი ძალით არ დაუხატავს რუსეთის სოფლის სიღატავე, გლეხკაცის აუტანელი შრომა, ხალხის უუფლებობა, რუსი დედაკაცის მძიმე ხვედრი, როგორც ეს დახატა ნეკრასოვმა. ნეკრასოვის ცხოველყოფელ პოეტურ ძალას ცხადყოფს ის, რომ ჩვენი დიდი ბელადები ლენინი და სტალინი ხშირად იმომწებენ ნეკრასოვის პტრიქონებს, როცა მათ სურთ წარმოგვიდგინონ მშრომელი რუსეთისა და რუსი გლეხკაცის მძიმე, უსიხარულო ცხოვრება თვითმპყრობელობის დროს. ნეკრასოვი ერთ-ერთი პირველი პოეტია, რომელმაც შემოაყვანა რუსულ ლიტერატურაში უბრალო რუსი მშრომელი ადამიანი, აამეტყველა იგი თავის საკუთარ ენაზე, გამოხატა მისი გაცდები, სურვილები და მისწრაფებანი ხალხური წყაროებიდან მომდინარე მელოდიური ჰანგებით.

ნეკრასოვმა უადრესად მეტყველი ფერებით დახატა რუსეთის ბუნება — ბუმბერაზი,

ამაყი მდინარეები, უზარმაზარი დაბურთული მწვანე ტყეები, ჯეჯილებით მოჭრილი თვალწვდენელი ველები, რუჟული მკაცრი ზამთარი და შვების მომგვრელი გაზაყნული.

სამშობლო ქვეყნის ცისა და მიწის მშვენებით პოეტის ალტაცებას მუდამ თან სდევდა მისივე მწარე ამოკენესა იმის გამო, რომ ამ წარმატები ბუნების წიაღში მწარედ ვინავდა გლეხი, რუსი ადამიანი, რომ იქ თარეშობდა მეზატონე თავისი მათრახით, რომ იქ მბრძანებლობდა მეფე, „მეფე ძალზე ულმობელი, — შიმშილი იყო სახელი მიაი“. პოეტმა ნაფლიან ჰანგებში შიტიანა მგზნებარე სიძულვილის, მრისხანე შურისგების ხმაც მხაგვრელებია, — სასახლეებისა და პალატების იმ მფლობელების მიმართ, რომლებმაც ეს მშვენიერი მიწა რუს მშრომელ ადამიანს ძალადობით წაართვეს.

არა მარტო შურისგებით, იმედითა და მხნეობით უღერდნენ ნეკრასოვის ჩანგას სიმები. პოეტა ღრმად სწამდა რუსი ხალხის ძალა და მისი მომავალი. რუსეთის მაშინდელ სინამდვილეში ნეკრასოვმა დაინახა და დაგვიხატა ხალხის ბედნიერებისათვის, სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი რუსი დევგმირები — გირინი, საველი, კუდეიარი (პოემა „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“). შრომისმოყვარეობა და მხნეობა, სულის სიმტკიცე და შეუპოვრობა, ნათელი გონება და შინაგანი სიამაყე, კეთილშობილება და დაუცხრომელი მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ. — რუსი ადამიანის აი რა თვისებები განასახიერა ნეკრასოვმა ამ თავის საყვარელ გმირებში, რომლებსაც, პოეტის რწმენით, შესწევთ ძალა დაამხონ ბნელეთის მეუფება და მზიანი დღე გაუთენონ თავიანთ სამშობლოს.

ნეკრასოვის პოეზია, რომელიც ახალი სიტყვა იყო რუსულ ლიტერატურაში, თავის სიმადლით გაუსწორდა ისეთ მწვერვალს, როგორიც არის პუშკინისა და ლერმონტოვის პოეზია.

ნეკრასოვი მშობლიური და საყვარელი პოეტია ჩვენთვისაც — ქართველებისათვისაც. მიაი შემოქმედება იყო ცხოველყოფელი წყარო, რომელსაც მხურვალე გულით დაწაფნენ ქართველი ხალხის საამაყო მეოსნები — ილია და აკაკი.





6. ნაქარაუვი

ნახატი ირ. რაზმაძისა

## გლეხის ბიჭუნა

(ნ ა წ ყ ვ ე ტ ი)

მრთხელ, უსასტიკეს სუსხიან ზამთარში,  
 მე ტყიდან გამოველ, ყინვა მძვინვარებდა.  
 ვხედავდი ცხენს ტვირთი მოჰქონდა აღმართში,  
 ის მარხილით ფიჩხებს ზანტად მოაწორევდა.  
 დინჯად, სიამაყით და მედიდურებით,  
 ნელი ნაბიჯით ცხენს უძლოდა წინა  
 გლეხი ცხვრის ტყაპუჭით, დიდრონი წაღებით  
 და დიდ ხელჯაგებით... თვით კი პაწაწინა!  
 — გამარჯობა, ჰაბუკს! — „მომშორდი თავიდან!“  
 — ოჰო! შენ მრისხანე ყოფილხარ! მე ვხვდები!  
 ფიჩხს საიდან ზიდავ? — „ცხადია რომ ტყიდან!  
 გესმის, მამა სკრის და მე გამაქვს შეშები“.  
 (ტყეში გაისმოდა ნაჯახის ტკაც-ტკაცი).  
 — დიდი ოჯახი აქვს, ბიჭო, მამაშენსა? —  
 „ოჯახი დიდია, მაგრამ მამაკაცი  
 მე და მამას გარდა არავინ არის ჩვენსას?...  
 — აჰა, მაშ ასეა? შენ რა გქვია? — „ვლასა“.  
 — რამდენი წლისა ხარ? — „ექვს წელს გადავშორდი!“...  
 ბავშვი ცხენს გაუწყრა, აუჩქარა სვლასა,  
 აღვირი მოსწია, მოიხმარა შოლოტი.

თარგმანი გრაგოლ ცეცხლაძისა



# ფელდმარშალი რუმინცევი



საბჭოთა ისტორიკოსი პროფესორი კ. ბაზილევინი წერს:

„პეტრე პირველის, პ. რუმინცევისა და ა. სუვოროვის საუცხოო ახალშემოღებათა წყალობით XVIII საუკუნეში რუსულმა სამხედრო ხელოვნებამ მსოფლიო სამხედრო ხელოვნებაში წამყვანი მდგომარეობა მოიპოვა“.

მართლაც, უაღრესად დიდია ფელდმარშალ რუმინცევის ისტორიული დამსახურებანი. ისინი არ ამოიწურებიან მარტოდენ მისი გამარჯვებების მნიშვნელობით, რომლებმაც ესოდენ განამტკიცეს რუსეთის ძლიერება და სიდიადე. არანაკლებ არსებითია რუმინცევის როლი, როგორც რუსული ნაციონალური სამხედრო ხელოვნების ერთ-ერთი გამოჩენილი შემოქმედისა.

პეტრე ალექსანდრეს-ძე რუმინცევი დაიბადა მოსკოვში 1725 წლის 4 იანვარს. ბავშვის პირველი მასწავლებელი იყო თ. მ. სენიუტოვიჩი, რომელმაც მრავალი ცოდნა შესძინა თავის მოწაფეს. უცხო ენები პეტრემ დედისაგან შეისწავლა.

ჯერ კიდევ ბავშვი იყო რუმინცევი, როცა ლეიბ-გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკში ჩარიცხეს ჯარისკაცად, მაგრამ მამის ოჯახში ცხოვრობდა. ბერლინსა და პეტერბურგში სწავლის შემდეგ, მამის შუამდგომლობით, იგი გახდა პოდპორუჩიკი. 18 წლისა რუმინცევი უკვე პოლკის მეთაური იყო. აღსანიშნავია, რომ პირველ ხანებში მომავალი ფელდმარშალი მხოლოდ გენერალი მამის დახმარებით მიიწევდა წინ და ფუქსაგატ ცხოვრებას ეწეოდა. მაგრამ შემდგომ, როგორც იტყვიან, ჭკუაში ჩავარდა: დაუღალავად მეცადინეობდა, მუშაობდა, დიდად გაიტაცა სამხედრო სამსახურმა... მალე იგი გახდა ღრმა სამხედრო ცოდნით აღჭურვილი და უაღრესად პრინციპული ხასიათის მქონე გენერალი, რომელიც მუდამ ბტკიცედ იცავდა თავის

შეხედულებებს. განსაკუთრებით ხშირად მოსდიოდა მას უკმაყოფილება რუსეთის სამსახურში მყოფ გერმანელ გენერლებთან, რომლებიც რუსეთის არმიაში ნერგავდნენ გერმანულ სამხედრო ხელოვნებას ისე, რომ არ ითვალისწინებდნენ რუსი ჯარისკაცის თავისებულებას.

მრავალ ომში ისახელა თავი ამ განსაცვიფრებლად ჯანსაღმა, მამაცმა და თავდადებულმა პატრიოტმა მხედართუფროსმა.

პრუსიასთან შეიდწლიან ომში გამოვლინდა რუმინცევის სამხედრო ნიჭი. გროს-ეგერსდორფთან ბრძოლისას მან საკუთარი ინიციატივით ორი პოლკით დასძლია ჭაობიანი ტყე და მოულოდნელი კონტრიერიშით უკუუქცია გერმანელები, რომლებიც შემდეგ მთლიანად იქნენ განადგურებულნი.

ამავე ომში უაღრესად მნიშვნელოვან გამარჯვებას წარმოადგენდა რუმინცევის მიერ 1761 წელს კოლბერგის აღება, რომელიც უძლიერესი ზღვისპირა ციხე-ამაგრე იყო ჩრდილოეთ გერმანიაში და ბერლინის მისადგომებს აცავდა.

რუმინცევის სამხედრო მოღვაწეობაში დიდი როლი შეასრულა მისმა პირადმა გამოცდილებამ, რომელიც მან შეიდწლიან ომში შეიძინა. 1770 წელს რუმინცევა დაწერა ეგრეთწოდებული „სამსახურის





წეაი“, რომელიც მიღებულ იქნა რუსეთის არმიისათვის როგორც ოფიციალური ინსტრუქცია. ამ ინსტრუქციამ დაამკვიდრა სამხედრო სამსახურის ის ახალი წესები, რომელთაც ასე წარმატებით იყენებდა პეტრე ალექსანდრეს-ძე ომის დროს.

ბრძოლის ველზე მოქნილი მანევრისა და წარმატებითი იერიშისათვის ამ წესებში გათვალისწინებული იყო ჯარების საბრძოლო რაზმებულებად დაწყობა. სხვათა შორის, ეს საბრძოლო წყობა ნაპოლეონმაც შემოიღო თავის არმიაში. რუსეთის არმიის მაღალი ბრძოლისუნარიანობისათვის აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუმინელების დამოკიდებულებას ჯარისკაცისადმი, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო უსულგულო, ჯოხის დისციპლინისა.

რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1768-1774 წლები) რუმინელები სარდლობდა რუსეთის პირველ არმიას და თავი ისახელა როგორც ინიციატივიანმა, გაბედულმა და ძალაღწიერმა მხედართუფროსმა, რომლის სამხედრო სტრატეგია და ტაქტიკა ემსახურებოდა მხოლოდ ერთ მიზანს— მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის მოსპობას. „არავინ არ იპყრობს ქალაქს, სანამ არ მოსპობს ძალას, რომელიც მას იცავს“, — ხშირად ამბობდა რუმინელები.

1770 წელს მდინარეებთან ლარჯასა და კაგულთან რუმინელებმა გამანადგურებელი დარტყმა აგემა რიცხვობრივად დიდი უპირატესობის მქონე თურქ-თათართა გაერთიანებულ ჯარებს. ეს ბრწყინვალე გამარჯვებანი წარმოადგენენ სამხედრო ხელოვნების მაღალ ნიმუშებს, რისთვისაც მაშინ რუმინელებმა ფელდმარშლის კვერთ-


ხი მიიღო, ხოლო იმის აღსანიშნავად რომლისმაც ჯარებმა მდინარე დუნაი გადალახეს, რაც რუსეთის არმიის დიდ ზეიმს წარმოადგენდა, მას მიენიჭა სახელდება „ზალუნაისკი“.

„ბრძოლა მდინარე კაგულთან, — სწერს რუმინელების ბიოგრაფი ბანტიშ-კამენსკი, — თურო ზღაპრულ ამბავს ჰგავს, ვიდრე ისტორიულ სინამდვილეს, რადგან 17 ათასმა რუსმა საბრძოლო დაამარცხა 150 ათასი თურქი და მოიგერია 100 ათასი თათარი, რომელნიც ზურგიდან ემუქრებოდნენ“. „თურქებმა მაშინ 40 ათასი კაცი დაკარგეს და ამასთან ერთად დაკარგეს იმედი ოდესმე დაემარცხებინათ რუსეთი“, — აღნიშნავს რუმინელების მეორე ბიოგრაფი.



პ. ა. რუმინელებს ჯარისკაცები აიყვარულით „პირდაპირ სალდათს“ ეძახდნენ. უცხოელი დიპლომატები მას ახასიათებდნენ როგორც „დიდ ადამიანს, რომლის სახელი განდიდებულია სამხედრო ღვაწლით“. პრუსიის მეფე ფრიდრიხ II (რუმინელების მოწინააღმდეგე შვიდწლიანი ომის დროს) აღნიშნავდა, რომ რუმინელების სამხედრო დიდება და წარმატება „სახელგანთქმული ფელდმარშლის ნიჭისა და სიმამაცის“ ბუნებრივი შედეგია. დიდი მხედართმთავრები ა. სუვოროვი და მ. კუტუზოვი, რომლებიც ახალგაზრდობისას რუმინელებთან მსახურობდნენ, მას თავიანთ მასწავლებლად თვლიდნენ.

ფელდმარშალი პ. ა. რუმინელები გარდაიცვალა 150 წლის წინათ, 1796 წლის 8 დეკემბერს, და დასაფლავებულია კიევში, პეტროვის ლავრაში.

ლ. ხომერიკი







# მამიჩის დაპაჩა

(წიგნიდან „შექსპირის თხზულებათაგან გადმოკეთებული მოთხრობები ყმაწვილებისათვის“)

სიცილიის მეფე ლეონტი და მშვენიერი და სათნო დედოფალი ჰერმიონე ერთ ხანს ძლიერ შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ ერთად. ამ ტურფა მანდილოსნის სიყვარულით ისე ბედნიერი იყო ლეონტი, რომ აღარაფერი ჰქონდა სანატრელი; ოღონდ ხანდახან მოუნდებოდა, რომ კვლავ ენახა და მეუღლისათვის წარედგინა თავისი ძველი მეგობარი და სკოლის ამხანაგი პოლიქსენე—მეფე ბოჰემისა. ლეონტი და პოლიქსენე პატარაობიდანვე ერთად იზრდებოდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც მამები გარდაეცვალათ და თავთავიანთი სამეფოების სამართავად გაიწვიეს, მრავალმა წელმა განვლო, დიდი ხანია არ შეხვედროდნენ ერთმანეთს, თუმცა კი ხშირად უგზავნიდნენ ურთიერთს საჩუქრებს, წერილებს და ელჩებს მოკითხვისათვის.

ბოლოს, მრავალგზის მოწვევის მერე, პოლიქსენე მოვიდა ბოჰემიდან სიცილიის მეფის კარზე, თავისი მეგობრის სანახავად.

პირველად მის ნახვას სიამოვნების გარდა სხვა არა მიუნიჭებია რა ლეონტისათვის. მან მიანდო თავისი ყრობის მეგობარი დედოფლის განსაკუთრებულ მზრუნველობას და თითქოს საყვარელი მეგობრის და ძველი ამხანაგის ახლოს ყოფნით სრულიად შეივსო მისი ბედნიერება. ისინი იგო-

ნებდნენ ძველ დროს. გაიხსენეს თავიანთი სწავლის ხანა და ყმაწვილური ოინები და უამბეს ჰერმიონეს, რომელიც ყოველთვის ხალისით მონაწილეობდა მათ მუსაიფში. როდესაც, დიდი ხნის ყოფნის შემდეგ, პოლიქსენე მოემზადა გასამგზავრებლად, ჰერმიონემ, ქმრის სურვილის თანახმად, თავისი თხოვნაც დაურთო მეუღლის თხოვნას, რომ პოლიქსენე კიდევ დარჩენილიყო.

და სწორედ ახლა დაიწყო ამ კარგი დედოფლის ბედუკუღმართობა, რადგან პოლიქსენე ლეონტის თხოვნას რომ არ სთანხმდებოდა, ჰერმიონეს სათნო, დამაჯერებელ სიტყვებს დაჰყვა ნებას და გამგზავრება რამდენიმე კვირით გადასდო. ამიტომ, თუმცა ამდენ ხანს იცნობდა როგორც თავისი მეგობრის სინდისსა და პატიოსან ქცევას, ისე თავის სათნო მეუღლის ჩინებულ გრძობებს, ლეონტი შეიპყრო მძაფრმა ეჭვმა. ჰერმიონესაგან პოლიქსენესადმი გამოჩენილი ყოველი აღერსიანი ქცევა, თუმცა ამას ქმრის ძლიერი სურვილისა და სიამოვნების გულისათვის ჩადიოდა, აძლიერებდა ამ უბედური მეფის ეჭვიანობას. ამიტომ ტკბილი და ჭეშმარიტი მეგობრისა და ყველაზე უკეთესი და ყველაზე მოყვარული ქმრისაგან ლეონტი უცბად გადაიქცა ველურ და სასტიკ ურჩხულად. მან მოაყვან-



ნა თავისი ერთი დიდებული კამილო, უთხრა თავისი ეჭვები და უბრძანა, პოლიქსენე მოწამლეო.

კამილო კარგი კაცი იყო. კარგად იცოდა, ლეონტის ეჭვიანობას ნამდვილად ნამცეცისოდენი საფუძველი რომ არ გააჩნდა, და ნაცვლად პოლიქსენეს მოწამვლასა, გაანდო მას მეფის, თავისი ბატონის ბრძანება და დაჰყაბულდა გაქცეულიყო მასთან ერთად სიცილიის სამეფოდან. პოლიქსენე კამილოს შეწვევით მშვიდობით მივიდა თავის სამეფო ბოჰემიას. ამიერიდან კამილო იქ ცხოვრობდა მეფის კარზე და პოლიქსენეს უპირველესი მეგობარი და გამოჩენილი ქვეშევრდომი გახდა.

პოლიქსენეს გაქცევამ კიდევ უფრო გაამძინვარა ეჭვიანი ლეონტი. ის გაემართა დედოფლის სამყოფელისაკენ. ეს სათნო მანდილოსანი თავის პატარა ვაჟ მამილუსთან ერთად იჯდა და მამილუსისწორედ მას შინ აპირებდა დედისათვის მოეთხორო თავის საუკეთესო ამბავთაგანი, როცა მეფე შევიდა და ბავშვი მოაწორა, ხოლო ჰერმიონე საპყრობილეში გაგზავნა.

თუმცა ძლიერ პატარა იყო, მამილუსს დედა ძალიან უყვარდა. როდესაც ნახა დედის ასე გაწბილება და გაიგო, ის საპყრობილეში ჩასაგდებად გაგზავნესო, უზომოდ შეწუხდა. დაეკარგა ძილი და მადა, მოსუსტდა და გაიცრიცა ისე, რომ თქვეს, მოჰკლავს ამა ეს სევდაო.


მეფემ რომ დედოფალი საპყრობილეში ჩააგდო, მერე ორ სიცილიელ აზნაურს კლებოვნეს და დიონს უბრძანა, წაღოთ დედოფოსს და შეეკითხეთ აპოლონის ტაძრის ორაკულს, მიღალატა თუ არა დედოფალმაო.

ჰერმიონეს, საპყრობილეში ცოტა ხანს ყოფნის მერე, ასული შეეძინა. საბრალო მანდილოსანი დიდად ანუგეშა მშვენიერი ბავშვის ხილვამ და უთხრა: „ჩემო საბრალო პატარა ტუსალო, მეც ისევე უმანკო ვარ, როგორც შენ“.

ჰერმიონეს ჰყავდა კეთილშობილი მეგობარი პაულინა, სიცილიელი წარჩინებულის ანტიგონეს მეუღლე. როდესაც ქალბატონმა პაულინამ შეიტყო თავისი გვირგვინოსანი ქალბატონის ძეობის ამბავი, წავიდა იმ საპყრობილეში, სადაც ჰერმიონე იყო დატუსალებული, და უთხრა ჰერმიონეს მომვლელ ქალ ემილიას: „გევედრები, ემილია, მოახსენე სათნო დედოფალს, თუ მისი უდიდებულესობა მანდობს თავის ჩვილ ასულს, მე მიუყვან მას თავის მამა მეფეს. ჩვენ არ ვიცით, შეიძლება გული მოუღბოს ამ უმანკო ბაღღის ნახვამ“. „დიდად ღირსეულო ქალბატონო“, მიუგო ემილიამ, „მე გადავცემ დედოფალს თქვენს კეთილგანზრახვას. დღეს ნატრობდა, ნეტავ ვინმე მეგობარი მყავდეს, რომ გაჰბედოს და მეფეს აჩვენოს ბავშვიო“. „და მოახსენე“, — დასძინა პაულინამ, — „რომ მე უშიშრად მოველაპარაკე“.







კები მეფეს მის დასაცავად". „იყავ მარადის კურთხეული, ჩვენი მშვენიერი დედოფალი რომ ასე გიყვარა“, — თქვა ემილიამ და გაემართა ჰერმიონესთან. მან სიხარულით მიანდო თავისი ჩვილი პაულინას მზრუნველობას, რადგან შიშობდა, ვერავენ გაბედავს, რომ აჩვენოს მამას თავისი შვილიო.

პაულინამ წაიყვანა ახლადდაბადებული ბავშვი და ძალით გაიკაფა გზა მეფისაკენ, თუმცა მის ქმარს ეშინოდა მეფის რისხვისა და ხელს უშლიდა. პაულინამ დადო ბავშვი მამის ფეხთა წინაშე და ჰერმიონეს დასაცავად კეთილშობილი სიტყვებით მიმართა მეფეს. მან მკაცრად გაკიცხა ზისასტიკისათვის და შეევედრა, შეიბრალე უმანკო ბედულე და შვილიო. მაგრამ პაულინას ცხარე აყვედურებმა მხოლოდ გააღრმავა ლეონტის გულისწყრომა. მან უბრძანა ანტიგონეს, თავიდან მომავორე შენი ცოლიო.

პაულინა რომ წავიდა, ჩვილი ბავშვი მამის ფერხთა წინ დატოვა. თიქრობდა, როდესაც მარტო დარჩება მასთან ერთად, დახედავს და შეიბრალებს მის უმწეო უმანკობასო.

კეთილი პაულინა შეცდა, რადგან როგორც კი ის წავიდა, უღმობელმა მამამ უბრძანა ანტიგონეს, პაულინას ქმარს, აყვანე ბავშვი. წაიყვანე და ზღვის უდაბურ ნაპირას გადაადგე დასალუპავადო.

ანტიგონე არ მოიქცა კეთილ კამილოს მსგავსად და ერთობ სწორედ აღასრულა ლეონტის ბრძანება. მან დაუყოვნებლივ ჩასვა გემში ბავშვი და შეცურა ზღვაში. განზრახული ჰქონდა, როგორც კი მოახერხებდა, პირველსავე უდაბურ ნაპირზე დაეგდო იგი.

მაე მტკიცედ სჯეროდა მეფეს ჰერმიონეს დამნაშავეობა, რომ არ დაუცადა კლეომენეს და დიონის დაბრუნებას, რომელნიც აპოლონის ორაკულთან საკითხავად გაგზავნა დედოფოსს. ვიდრე დედოფალი გამოძვობინდებოდა შიშობისა და თავის ძვირფასი ჩვილი ბავშვის დაკარგვის მწუხარებისაგან, ლეონტიმ გამოიყვანა ეს საჯარო საბაჯავ-


როში, თავისი კარის ყველა თავადესა და წარჩინებულს წინაშე. როდესაც ყველა დიდი თავადი, მსაჯული და იმ ქვეყნის ყველა დიდბული შეიკრიბა ჰერმიონეს განსასჯელად და ეს ბედკრული დედოფალი



დატუსაღებელი იდგა თავის ქვეშევრდომთა წინაშე მათგან მსჯავრის მისალებად, კლეომენე და დიონი შემოვიდნენ კრებაში და მოართვეს მეფეს ორაკულის დაბეჭდილი პასუხი. ლეონტიმ ბრძანა, გასენით და ხმამაღლა წაიკითხეთო და ეს სიტყვები წაიკითხეს: „ჰერმიონე უმანკოა, პოლიქსენე — უბრალო, კამილო ერთგული ქვეშევრდომია, ლეონტი — ეჭვიანი მტარვალი და მეფე უმეგვიდროდ დარჩება, თუ იმას, ვინც დაკარგულია, არ იპოვიან“.

მეფემ არ დაიჯერა ორაკულის სიტყვები. თქვა, ეს დედოფლის მეგობართაგან ნოგონილი ჭორიაო და მოინდომა მსაჯულს





განეგრძო დედოფლის განსჯა. მაგრამ ვიდრე ლეონტი ლაპარაკობდა, კაცი შემოვიდა და მოახსენა, როდესაც უფლისწულმა მამილუსმა შეიტყო, დედაჩემს სასიკვდილოდ სამართლებენო, სირცხვილისა და მწუხარებისაგან ელდა ეცა და ანაზღად სული განუტევაო.

ჰერმიონემ რომ გაიგო იმ ძვირფასი და საყვარელი შვილის სიკვდილის ამბავი, რომელმაც სიცოცხლე შესწირა მისი გაუბედურებისაგან გამოწვეულ სევდას, გულს შემოეყარა. ამ ამბებმა ლეონტის გული განუგმირა. შეეცოდა თავისი უბედური დედოფალი და უბრძანა პაულისას და სეფექალეებს, წაიყვანეთ და მოასულიერეთო. პაულინა მალე დაბრუნდა და მოახსენა მეფეს, ჰერმიონე გარდაიცვალაო.

როდესაც გაიგო დედოფლის სიკვდილი; ინანა, სასტიკად რომ მოექცა მას. ახლა, რადგან ფიქრობდა, ჩემმა ცუდად მოპყრობამ გაუხეთქა გულიო, ირწმუნა მისი უდანაშაულობა. გაიფიქრა, ორაკულის სიტყვები მართალიაო; როგორც უკვე იცოდა, „თუ იმას, ვინც დაიკარგა, არ იბოვნინდენ“ (ეს კი, დასკვნა—მისი ჩვილი ასული იყო), მამილუსის გარდაცვალების შემდეგ უმემკვიდრეოდ დარჩებოდა, ამიტომ ახლა მთელ სამეფოს გააცემდა, ოღონდ თავისი დაკარგული ასული ებოვა. ლეონტი სინდისის ქენჯნამ შეიპყრო და მრავალი წელი გაატარა ნადვლიან ფიქრებსა და სევდიან სინანულში.

გემი, რომლითაც ანტიგონემ პატარა პატონიშვილი ზღვაში შეაცურა, ქარიშხალმა ბოჭემის ნაპირას გარიყა, სწორედ მეფე პოლიქსენეს საბრძანებელში. ანტიგონე გადმოხტა ხმელეთზე და აქ დატოვა ჩვილი ბაღლი.

ანტიგონე ველარ დაბრუნდა სიცილიას, რომ ეთქვა ლეონტისათვის, სად დაადრო მისი ასული, რადგან როცა გემისაკენ უკან მიდიოდა, ტყიდან დათვი გამოვარდა და ლუკმა-ლუკმა დაგლოჯა იგი. და ეს იყო სამართლიანი სასჯელი იმისათვის, ლეონ-

ტის უღმობელ ბრძანებას რომ დაემორჩილაო.

ბავშვს მდიდრული ტანსაცმელი და კაულები ჰქონდა, რადგან ჰერმიონემ ძლიერ კობტად მოკაზმა მაშინ, ლეონტის რომ უგზავნიდა. ანტიგონემ ქინძისათვის მიაბნია ქალაქი მის წამოსასხამს. ქალაქზე ეწერა სახელი „პერდიტა“ და ისეთი არტყეები, რომ წამკითხველს ბუნდოვანად აცნობებდნენ გოგონას მაღალ წარმომობას და უცნაურ ბედს.

ეს საბრალო გადაგდებული ბაღლი მეცხვარემ იპოვა. ის კეთილი კაცი იყო. შინ წაიყვანა პატარა პერდიტა ცოლთან, რომელმაც სათუთად და სიყვარულით აღზარდა. მაგრამ სილატაკემ აცთუნა მეცხვარე და ნაპოვნი მდიდარი სამკაულები დამალა. ამიტომ მინ მიატოვა ის მხარე, რათა არავის გაეგო, საიდან შეიძინა ეს სიმდიდრე. პერდიტას პატიოსანი თვლების ნაწილით ცხვრის ფარა იყიდა და მდიდარი მეცხვარე გახდა. პერდიტას ისე ზრდიდა, როგორც თავის საკუთარ შვილს, და ბავშვმაც არ იცოდა, რომ ის სხვა ვინმე იყო და არა მეცხვარის ქალი.

პატარა პერდიტა ტურფა ქალწული გაიზარდა. თუმცა მეცხვარის ქალზე უკეთესად არ აღუზრდიათ, მაინც ბუნებრივი სიკეთე, თავისი გვირგვინოსანი დედისაგან თანდაყოლილი, ისე გამოსჭვიოდა და ბრწყინავდა მის ქცევაში, რომ ვერავინ იტყოდა მისი ქცევის მიხედვით, თუ საკუთარი მამის სასახლეში არ იყო აღზრდილი.

ბოჭემის მეფე პოლიქსენეს ერთადერთი ვაჟი ჰყავდა, სახელად ფლორიზელ. ეს ჭაბუკი უფლისწული მეცხვარის საცხოვრებლის ახლოს ნადირობდა და თვალი მოჰკრა მოხუცის ვითომდა ასულს. პერდიტას მშვენიერებამ, კდემამოსილებამ და დედოფლისებურმა მიხვრამოხვრამ მაშინვე გაამიჯნურა ეს ყმაწვილი. მან დორიკლე დაირქვა, უბრალო აზნაურივით მოიკაზმა და მალე მოხუცი მეცხვარის სახლის მუღმივი სტუმარი შეიქნა.

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

თარგმნა ინგლისურიდან  
აღ. ბაგრატიონი





# მოდული მხატვრობა

ლაგერენტი პავლეს-ძე ბერიას სახელობის თბილისის კიბურთა და ოქტომბრელთა სასახლის ბატიკონა და ფერწერის კაბინეტმა, რომელსაც ხელმძღვანელობს დამსაიფრებელი მასწავლებელი, მხატარი გრიგოლ მესხი, II რესპუბლიკურ ბავშვთა თეატრის მომზადების ოლიმპიადაზე მიიღო ქების სიგელი. კაბინეტს შემოკრებილი ჰყავს 60-მდე ნორჩი მხატვარი.

ამ ნარკვევში საუბარი გვაქვს გოგი თოთიბაძის, თაბაზ ჯაფარიძისა და გვი მანსურაძის ნახატებზე.

აი პატარა კახი, დიდი ერეკლე, მტერთა სისხლით მორწყულ კრწანისის ველზე. მისი ფაფარაყრილი შავი ტაიჭი, დიდებული მხედრის ბედს იზიარებს და ტორით უსრესს გააობილ გულეებს ერეკლეს ხმლით თავმოკვეთილ სპარსელებს. ჭიხვინებს მერანი და ამით ბანს შემოსძახებს მხედართმთავრის ძლევამოსილი ხმლის ჩახაჩუნს.

რამდენ ხმალსა და თოფს მიხანში ამოუღია დიდი ერეკლე, მაგრამ იგი დგას უვნებელი, ვით ბრძოლის ღმერთი, ხმლის ერთი მოქნევით იფერიებს ყველას, უწყალოდ კაფაჟა მტერს და მისი დინჯი, ჭკვიანი თვალები სწვდება მთელ სივრცეს კრწანისის ველისას.

მის კვალდაკვალ ვეფხვებივით იბრძვიან ქართველები. იცელება მტერი და სისხლით შეღებილია კრწანისი — სამას არაგველთა უმაგალითო სამტკიცის მოწამე ველი.

ბუკისა და ნაღარის გუგუნით თითქოს ცდილობენ ოდნავ მაინც შეანელონ ბრძოლის ხმაური, მაგრამ თვალის ერთი მოვლებითაც გრძნობთ, რომ ბრძოლის სიმძაფრემ ზენიტს მიაღწია და მისი შენელება არაფერს შეუძლია.

ფერები ისეა შეხამებული, რომ ეს სურათი ხავერდოვანი ხალიჩა გგონიათ, ფაქიზი გემოვნებით მოქარგული.

ბრწყინვალე წარსულის ამ შესანიშნავი სურათის პირდაპირ ერთი ნახატი ჰკვიდა წარწერით: „გმირის დაბრუნება“.

სიხარულისაგან ათრთოლებული დედა, ტკბილად ეხვევა სამამულო ომიდან დაბრუნებულ მეომარს. მამას შორიდანვე გაუშლია მკლავები ვაჟკაცის გულში ჩასაყოწავად.

და განა მხოლოდ მშობლები ღვრიან სიხარულის ცრემლს, განა მხოლოდ ისინი არიან. დიდი ბედნიერების გამო?!  
\*\*\*

აქ, ხეთა ფოთლები და მწვანე ბუხანო, ულამაზესი ყვავილებიც თრთიან სიხარულსაგან და გმირს ფეხქვეშ ფიანდაზად ეფინებიან.

ამ სურათზე მზის სხივები ისე უხვად დაფრქვეული ისეთი სინათლეა, რომ მნახველი ქეშმარიტად გრძნობს: მზემაც გაიხარა გმირის დაბრუნებით.

ამ სურათთა მხატვარია ნიჭიერი ბიჭუნა თამაზ ჯაფარიძე.

\*\*\*

ლურჯია ცა და ჰორიზონტზე ელვარებს თოვლით დაფარული კავკასიონის მწვერვალები.

მთიდან მოწყვეტილი ენგურის აქაფებულ ტალღები ნაპირს ვახელებით ელუწებიან, რისხვით იმუჭრებიან.

და ამ მღელვარე ენგურის ნაპირას დგას დიდი ქარფველი, ვისი ფიქრთა დენაც უსწრაფეა მჩქეფარე ტალღათა დენისა, ვინაც სამამულო ომის მრისხანე დღეებში ხალხს მტკიცედ უთხრა: მტერი ვერ გადმოლახავსო კავკასიონს. გასცქერის ის შორს და მის თვალთა მახვილი, ჭკვიანი გამოხედვა დაღებებს უდიდეს ნებისყოფას და მნახველს ალაგებს რწმენით, რომ ნაპოვნია გზა და მტერი მართლაც ფეხს ვერ შემოდგამს სამართველოში.

ლაგერენტი პავლეს-ძეს მხარს უმშვენებს არმიის სარდალი ლესელიძე, ია, ვინც მრისხანე ბრძოლის უამს მტერს მეხად ევლინებოდა, ვინც თავისი გულითა და მარჯვენით მტერ-მოყვარეს დაუმტკიცა, ქართველებმა რაოდენ ძლიერად იციან სიყვარული მამოლისა, სიძულვილი მტრისა და შემართება მახვილისა.

სამამულო ომის გმირული ბრძოლების ეს ერთი ეპიზოდი ახალგაზრდა მხატვარს გოგი თოთიბაძეს ისეთი ფერებით გამოუსახავს,





იმდენი გრძნობაა ჩაქსოვილი ამ ღუმლით მოცულ სახეში, რომ მნახველი უსიტყვოდაც გრძნობს გამირულ სულს იმ ადამიანისა, ვინც დიდი სტალინის დაფალებით ესტუმრა მშობელ საქართველოს, ოდეს მტერი ჩვენი ამაჟი კავკასიონის დამორჩილებას ცდილობდა.

\* \* \*

ქარვისფერი ყურძნის მტევნები ერთმანეთში გადახლართულან და, თითქოს ირგვლივ ყაყაჩოები ამოსულანო, ლოყაწითელი ვაშლები დახვევებულან. მეტის მეტი სიმწიფით მტევნებს მოწყვეტილი მარცვლები იქვე, ახლოს მიმოფანტულან.

იქვე სურა ყელყელაობს. ის წყლით სავსე ნუ გგონიათ! გვერდით უდგას ბროლის ჭიქა. მხატვარს პირამდის არ აუვსია. განა სიძუნწით? მხოლოდ იმიტომ, რომ კრიალა ბროლი აფონზე უფრო თვალის მომპარავად გამოჩნდეს ლალისფერი ღვინო.



გზიბლავთ ეგ ლამაზი სურა, ვაშლი, ყურძნია მტევნებიც და მნახველის თვალწინ გამაღიზიანებლად მიმოფანტული მწიფე მარცვლებიც, მაგრამ ყველაზე უფრო გულდაგულ ძალა თავისი ფუნჯისა ნორჩ მხატვარს—გივი მაისურაძეს — ერთ ჭიქა ღვინოზე დაუხარჯავს, ამიტომაც თქვენ წინ დახატული კი არა, თითქოს ნამდვილი კრიალა, ბროლის ჭიქა დგას და შიგ ჩასხმული კამკამა ღვინოც ნამდვილია.

\* \* \*

ნაზი ბულბული და შეუპოვარი არწივი; უვნებელი ბაჭია და ცბიერი მელია; მორცხვი ია და ჭრელკაბა ყვავილები;

მთიდან მომსკდარი მქუხარე მღინარეებთან თვალმუეღვამი კავკასიონის მწვერვლები;

სალ კლდეზე მდგარი, ვით ქანდაკება, ამაყი ჯიხვი;

შრომის ფერხული საქართველოს ბარაქიან ველ-მინდვრებზე;

გორში სახლი ბელადისა;

გორის ციხის ნანგრევები; ნაშთი ნარწყალასი;

საკაძის ციხე-კოშკი;

კრწანისი და ტაშისკარი — ეგ სახელოვან წინაპართა ბრძოლისა და გამარჯვების ასპარეზი;

ლეგენდარული გმირები სამამულლო ომისა;

კრემლი მოკიანფე ვარსკვლავებით, ვით სიმბოლო თავისუფლების და გამარჯვებისა...

—აი, რა უფრო ლამაზად დაუხატავთ ნორჩ მხატვრებს ჰაწაწინა ყალმით, რაოდენი სათუთი გრძნობა ჩაუქსოვიათ ამ სურათებში.

ნუ იფიქრებთ, საქმე ამით თავდებოდეს! ეგ მხოლოდ დასაწყისია შემოქმედებისა.

მომავალი წინაა. თავისუფალი, ლაღი და თვალწარმტაცი სამშობლო მათ მოლოდინშია. გრძნობენ ამას პატარები და მათი გულიც სურვილებით სავსეა, ოცნება—ფრთაშეუქვეციელი და საწინდარი გამარჯვებისა განა მხოლოდ ნიჭია,—ნიჭთან ერთად ესოდენ გულდაგული მათი შრომა მუყაითი.

ჰაწაწინა ხელოვანი განა მხოლოდ ოცნებობენ, ფუტკარივით შრომობენ, რათა გახდნენ ღირსეული მემკვიდრენი სახელოვანი ქართველი მხატვრებისა.

მერი ალაშია



# მინის ქალაქი



ინჟინერი ა. შირიშვიტი

მრავალს ქალაქი უმთავრესად მინის იქნება ალბათ. როცა მასში ცხოვრებას წარმოიდგენთ, რაღაც არასასიამოვნო გრძნობა გიპყრობთ: გეონიათ, რომ არ იქნება მყუდროება, ოთახებში შეგცივდებათ, გარედან ყველა დაგინახავს, მინის სახლის მეექვსე სართულზე ცხოვრებისას მუდმივ შიშში იქნებით—სახლი არ დაიმსხვრეს, როგორც იატაკზე დაცემული ჭიქაო. ეს იმიტომ, რომ თქვენ არა ხართ გაცნობილი ახალი ხარისხის მინებს და მათს გამოყენებას.

ოცდაათი წლის წინათ აღამიანს, რომელიც ეცდებოდა გამოეგონა მინის ზამბარა, უეჭველია, საგიჟეთში მოათავსებდნენ. ახლა კი მინის ზამბარებს იყენებენ უზუსტეს ხელსაწყოებში, სადაც სიმკავეები საშუალებას არ იძლევიან გამოყენებულ იქნეს ლითონი.

როგორ მოხდა, რომ მინა აღარ არის მინა ჩვეულებრივი გაგებით—სუსტი, მყიფე, არასაიმედო მასალა?

ამის მიზეზია შენარევეები, რომლებსაც ახალი მინების კეთებისას იყენებენ.

ენციკლოპედიურ ლექსიკონში მინის კეთების შესახებ სწერია: „მინის გასაკეთებლად იყენებენ კაჟნარს“. ამჟამად კი ოპტიკურ ხელსაწყოთა საუკეთესო მინებში სრულებით არაა კაჟნარი.

ოპტიკური ხელსაწყო ზოგჯერ სინათლის ნაძვლილი მტაცებელია. ზოგიერთ შემთხვევაში უმიზნოდ იყარება სინათლის სხივების 95 პროცენტით და მხოლოდ 5 პროცენტი ანათებს იმ გამოსახულებას, რომელსაც ვათვალისწინებთ. ოპტიკურ მინებში შემავალ ნივთიერებათა შემადგენლობის შეცვლა დიდად უწყობს ხელს ამ მინების ხარისხის გაუმჯობესებას.

არის რეცეპტები, რომლის მიხედვით გაკეთებული მინა უძლებს მძლავრ დარტყმას, ტემპერატურის მკვეთრ ცვლებადობას. აი, თქვენ წინაა მინის გამჭვირვალე კუბი. აღა-

მინი მძლავრი მოქნივით მინას ჩაქუჩის ურტყამს. უნებლიეთ თვალს ხუტავთ: ახლა ირგვლივ გაიბნევა ათასი ნამსხვრევი. მაგრამ არა—მინა არც კი გაბზარულა. კიდევ ერთი სავესებით არაჩვეულებრივი ცდა: თუჯის ნაჭერი ჩადევს მინის ჭურჭელში, ეს უკანასკნელი უმძლავრეს ცეცხლზე მოათავსეს, და რამდენიმე წუთის შემდეგ მინის ჭიქაში უკვე თხევადი თუჯი თუხთუხებს. ფანტასტიკურად გამოიყურება მინის ღუმელი. იგი ღუმელის მოჩვენება გეგონებათ: ჩანს, როგორ იწვის ნახშირი, კვამლი მილისაკენ მიედინება და... გსურთ მალე მოსცილდეთ მას, რადგან ეს-ეს არის ღუმელი გაღება და დაიშლება. მაგრამ ნუ გეშინიათ: განსაკუთრებული ძნელდნობადი მინისაგან გაკეთებული ეს ღუმელი გაცილებით უფრო ძლიერ ტემპერატურას გაუძლებს.

მინას, როგორც საშენ მასალას, უკვე ახლა შეუძლია შეცვალოს რკინა და ფოლადი. არქიტექტურის აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. კ. ბუროვმა შეიმუშავა არაჩვეულებრივად მაგარი მინის ძაფებს მიღების საშუალება. ამ ძაფებისაგან აკეთებენ ლენტებს, ფირფიცრებს, ძელაკებს, თავბეებს. ნაკეთობებს, რომლებსაც ახლა რკინა-ბეტონისას უწოდებენ, მალე შეიძლება უწოდონ... მინა-ბეტონის, რადგან ა. კ. ბუროვის მინა ბეტონი გაცილებით უკეთესია, ვიდრე რკინა.

შესანიშნავია მინის გამოღრუებული აგურები, მისგან აშენებულ სახლებში უხვად შედის მზე და სინათლე. ასეთი სახლების ოთახებიდან ყველაფერი ჩანს, რაც გარეთ ხდება, ხოლო გარედან შენობის შიგნით ვერაფერს დაინახავთ.

მინა ნელა, მაგრამ მტკიცედ და ფართოდ იწვრება ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში. იგი ყველგანაა და ხშირად ისეთ რამედ არის გამოყენებული, რომ განციფრება იწვევს.



მინის საკისარი, რომელსაც უძვირფასესი ქვებია აიმაგრე აქვს, პატეფონის მინის ფირფიტები, რომლებიც „მღერიან“ ჩვეულებრივ ფირფიტებზე უფრო ნაზად და სუფთად, მინია... დანები—ყველაფერი ეს ახლა უკვე გვაქვს, და იშვიათია ისეთი საგანი, რომელიც მინისაგან არ გაკეთდება.

წყალში გადავარდნისას გადასარჩენად რომელ სამეფელ სარტყელს ამოირჩევდით — მინისას, თუ კორპისას? უეჭველია, კორპისას, რადგან არ იცით, რომ მინის უკეთესია. არის ისეთი მინა („ბენოსტეკლო“), რომელიც შედგება ჰაერით სავსე უამრავი ბურთულიაგან და ამიტომ წყალში არ იძირება. ეს მინა იჭრება დანით, ხერხით, შეიძლება გაიხვიოს ბურლით. მას მრავალი გამოყენება აქვს: იგი საუკეთესო თბოიზოლაციაა, ცეცხლგამძლეა. ჰიგიენური — შესანიშნავად ირეცხება და იწმინდება.

მრავალმა წელმა განვლო მის შემდეგ, რაც 1635 წელს მეზარბაზნე ოსტატმა ელი-


სეი კოიეტმა რუსეთში ააგო მინის ბიბლიოთეკა ქარხანა. საბჭოთა ქარხნებმა და სამეცნიერო-კვლევითმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ჩვენს ქვეყანას მინას აძლევენ, სტალინური ხუთწლეულების მანძილზე, უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს და მრავალმხრივ გაუსწრეს საზღვარგარეთს. ჩვენი მინის მრეწველობის სათავეში დგას მინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

იცით რაა „სტალინიტი“? ეს მინაა, რომელსაც ვერ ხერხეტს ტყვია და ყუმბარის ნამტვრევი. „სტალინიტს“ სამამულო ომის დროს თვითმფრინავის გამჭვირვალე ჯავშნად იყენებდნენ. იგი სიკვდილისაგან იფარავდა ჩვენს მამაც მფრინავებს. ამავე მინიდან კეთდება ჭიქა, რომლითაც ლურსმნის ჩაჭედება შეიძლება. ეს ჭიქა შეგიძლიათ იატაკს დაანარცხოთ, და იგი მხოლოდ დაიწკრიბლებს—არ გატყდება; შეგიძლიათ ცეცხლზე გაახუროთ და უცბად ცივი წყალი დაასხათ—მინიც არაფერი მოუვა.



იგი იბრწყინებს, როგორც ბრილის ზღაპრული სასახლე...





გუბს-ბრუსტალნიში უკვე ამ ოთხმოცდწათი წელი არსებობს მინის ქარხანა. ეს უნივერსალური ქარხანაა. აქ კეთდება მსოფლიოში სახელმთხვეჭილი ბროლის ჭურჭელი, სარკის მინა, ავტომობილის ნათურები. საექიმო მოწყობილობა. ომის წლებში აქ ტანკების საწინააღმდეგო ცეცხლწამკიდი სითხით სავსე მინის ყუმბარებიც კი კეთდებოდა. 1943 წელს გუბს-ბრუსტალნიში — პირველად ჩვენში—მიღებულ იქნა მინის ბოჭკო. აქ მზადდება როგორც უხეში (თბოიზოლაციისათვის საჭირო), ისე ნაზი ბოჭკო. იგი ესაჭიროება მეთევზესაც, ფეიქარსაც, მფრინავსაც. მინის ბოჭკოსაგან გაკეთებული ბადე დიდხანს სძლებს და იფთხა. ცეცხლგამძლე მინის ბოჭკოსაგან აკეთებენ თეატრის ფარდებს. მინის ბოჭკო ბგერების ნამდვილი ხაფანგია: იგი იჭერს და არ ატარებს ხმაურს იმ შენობიდან, სადაც მანქანები რახრახებენ. ხმაურის საწინააღმდეგო ამავე იზოლაციით შეიძლება გაკეთდეს სახლებით „ყრუ“ ოთახი, რომელშიც გარედან ვერავითარ ხმას ვერ გაიგონებ. მინის ბოჭკო კარგი საშუალებაა აგრეთვე სიცივის წინააღმდეგ.

მინის ბოჭკოს ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია უფრო და უფრო აუმჯობესებს ჰაეროვანი და გამჭვირვალე ქსოვილის წარმოებას. მოსკოვში უკვე არის კინოთეატრები, რომელთა ეკრანები მინის ბოჭკოსაგანაა გაკეთებული, და არც ერთმა მაყურებელმა არ იცის, რომ ფილმების გმირები მინის ზედაპირზე სრიალებენ. ამ ლაბორატორიაში მინის ბოჭკოს შეღებვის საშუალებაც გამონახეს. ბამბის მსგავს მოკლე ბოჭკოებსაგან ამზადებენ მძიმე და გამძლე ქსოვილს, რომლისაგან კეთდება მანქანების ასამუშავებელი ღვედები, ცეცხლსაქრობი მილები, ქიმიური ქარხნებისათვის შლანგები, რომლებზეც არ მოქმედებს სიმჟავე და ტუტე. ლაბორატორიაში მიღებული „მინის ქეჩა“ ადამიანს ისე იცავს სიცივისაგან, როგორც ერთი მეტრის სისქე აგურის კედელი... მინის ბოჭკოსაგან კეთდება აგრეთვე ლამაზად მოხატული შპალერი, რბილი და თბილი ნოხები, ტანსაცმელი ქიმიური საამქროების მუშებისათვის...

გუბს-ბრუსტალნის „მინაბოჭკოს“ ქარხანა თვეში 12 ათას მეტრ მინის ქსოვილსა და 2-3 ტონა მინის ბოჭკოს ამზადებს. ეს რაოდენობა მეოთხე ხუთწლეულში გაცულებით გაიზრდება. პირველ ხანებში ამ ქარხნის მუშებსაც კი არა სჯეროდათ, რომ მათ მიერ გაკეთებულ „ვისკოზაში“ (ხელოვნური აბრეშუმი) იოტის ოდენა არც ბუნებრივი და არც სინტეზური აბრეშუმი არ ერია.

მინის ბოჭკოსაგან მიღებული იზოლაციის ინჟინერს საშუალებას აძლევს ისეთი მცირე ზომისა და ეკონომიური ელექტრული მანქანა გააკეთოს, რაც ჩვეულებრივი იზოლაციის დროს თითქმის შეუძლებელია.

ჩვენი ჩვეულებრივი მინა არ ატარებს ულტრაიისფერ სხივებს, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჯანმრთელობისათვის. მომავლის სახლებში ფანჯრებში ჩასმული იქნება ისეთი მინები, რომლებიც გაატარებენ ამ სხივებს და ოთახში მყოფზე მზის სხივები ისე იმოქმედებს, როგორც ზღვის პირას. მზის მხარეს მდებარე ფანჯრებში აგრეთვე შეიძლება ჩავსვათ ისეთი მინები, რომლებიც არ ატარებენ ინფრაწითელ სხივებს—ესე იგი სითბოს მატარებელ სხივებს, და, ამგვარად, ზაფხულში ამ ოთახში სასიამოვნო სიგრილე იქნება.

მინაში შესანიშნავად თავსდება სხვადასხვა მნათი ნივთიერება. შეიძლება გაკეთდეს კარის მნათი სახელურები, ელქტროამომრთველის ღილები, ჭიქები, სურები, კიბეების მოაჯირები და საფეხურები. დანის სინელეში ჩაძირულ სახლში ამ მნათ საგნებს შეუძლიათ გზის მაჩვენებელ პატარა, მბჟუტავ შუქურებად გადაიქცენ...

ამგვარად, არ უნდა გვეშინოდეს, რომ მომავლის მინის ქალაქში ადამიანს შესცივდება, რომ იგი ვერ იგრძნობს მყუდროებასა და სიამოვნებას! პირიქით, იგი ისე კეთილმოწყობილად იცხოვრებს, რომ ახლა ძნელი წარმოსადგენია და ოცნებას წარმოადგენს.

მაგრამ მინის სახლი შორეული მომავლის ოცნება როდია. ამჟამად მოსკოვში, სტალინის რაიონში, შენდება მინის პირველი სახლი, რომელიც მინის სრულიად საკავშირო ინსტიტუტს ეკუთვნის. ამ სახლში ყველაფერი მინის იქნება. იგი იბრწყინებს, როგორც ბროლის ზღაპრული სასახლე.







# ПИОНЕРИ

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ДЕТСКИЙ ЖУРНАЛ  
ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА ЛКСМ  
ГРУЗИИ

(на грузинском языке)

1946 год

Издательство

№ 12


Год издания 21-й

„Коммунисти“

ДЕКАБРЬ

კროს

ვორდი



გერტიკალურად

1. ამერიკის ცნობილი მკვლევარი, 3. მდინარე გერმანიაში. 4. პოლარული მკვლევარი, 5. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, 7. ჟანგბადის სახესხვაობა, 9. პირობითი დანაცოფი დედამიწაზე პოლუსიდან პოლუსამდე, 11. სახელმწიფო საპარტო აქტივობაში, 13. პუშკინის პოემის გმირი, 14. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, 15. მდინარე ინგლისში, 16. ოსური ცეკვა, 21 დიდი ქართველი მწერლის სახელი, 22. სპორტის სახე, 24. თუთიყუშის ჯიშში, 25. ხელიკისმაგვარი ცხოველი, 26. სუბტროპიკული კულტურა.

ჰორიზონტალურად

2. მოჭედების ადგილი ცირკში, 6. ქართველი მწერალი. 8. რკოსაი გარეული ცხოველი, 10. შექსპირის გმირი, 12 მდინარე იტალიაში, 14. ნოტი, 17. საზოგადოებრივი ელექტრობაში, 18. ხილული გამაგრილებელი წყალი, 19 ადამიანის, და ცხოველთა ადნაგობის შემსწავლელი მეცნიერება, 20. ბურუსი, 21 მუსიკალური ნაწარმოები ეროი ხშიათვის, 26. დიდი საღინე ფოქი, 27. აქტიორი, 29. ქიმიური ელემენტი.

სარედაქციო კოლეგია: **ო. აბაშიძე**, **აკად. ნ. ბერძენიშვილი**,  
**შ. გვინაძე** (პ/მგ. რედაქტორის პატივით), **გ. ვარდიაშვილი** პროფ. **გ. თავნიშვილი**,  
**ბ. კეცხოველი**, **პ. შეტრეველი**, **ნ. ნაკაშიძე**.

ნაკოვან ზარბაზნი—მადლობა სტალინს  
(ლექსი) . . . . . გარეკანის მე-2 გვ.  
ხალხმწიფი კონსტიტუციის ათე წელი . . . 1 "

რედაქტორი—დღევანდელი თქმა...  
(ლექსი) . . . . . 2 "

გიორგი კაჭანძე—ერთი ჩვენი სამ-  
შობლა (ლექსი) . . . . . 2 "

მოსკოვის დაცვა (წერილი) . . . . . 3 "

დავით შამათავა—ჯუმბერის დანაშაუ-  
ლი (მოთხრობა) . . . . . 6 "

კალე ბოზოხიძე—შვილი, დედის სე-  
ხარულა (ლექსი) . . . . . 8 "

ანდრო თევზაძე — ზამთრის სტუმარი  
(ლექსი) . . . . . 9 "

ნინო ნაკაშიძე—ჩემი მეგობარი (მოთ-  
ხრობა) . . . . . 10 "

თამარ ხაჯაია — ქარიშხლით შობი-  
ლი (წერილი) . . . . . 14 "

თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმუ-  
რი (ნარკვევი) . . . . . 16 "

ვანო წულუკიძე — რუსი ხალხის დი-  
დი პოეტი (წერილი) . . . . . 18 "

ნ. ნეკრასოვი—გლეხის ბიჭუნა (ნაწ-  
ყვეტი ლექსიდან) . . . . . 20 "

ლ. ხომერკი — ფელდმარშალი რუ-  
სიანევი (ნარკვევი) . . . . . 21 "

ჩარლზ ლემო—ზამთრის ზღაპარი . . . 23 "

შერი ადამია — მომავალი მხატვრე-  
ბი (ნარკვევი) . . . . . 27 "

თე. ა. შოროშვილი — მინის ქალაქი  
(მეცნიერება და ტექნიკა) . . . . . 29 "

კოსტოვოვი . . . . . 32 "

გასართობი . . . . . გარეკანის მე-3 გვ.  
პიონერების მარში (მუსიკა ვლ. კურ-  
ტილისა) . . . . . გარეკანის მე-4 გვ.

გარეკანზე მხატვარ **მ. დაუშვილის**  
ნახატი „ციხეობა“.

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები ავტო-  
რებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი,  
ლენინის, № 28, ტელ. № 3-81-85



## ჩაფიქრებულნი ერთნიშნა რიცხვის გამოცნობა

პიონერთა ოთახში თავმოყრილი ბიჭებიდან ერთი შეეკითხა ახლადშემოსულს:

- რეზო, თავსამტვრევი ამუცანა ხომ არაფერი იცი?
- ვიცი,—დაფიქრების შემდეგ უპასუხა რეზომ.
- სთქვი!

— კარგი. აბა, ჩაიფიქრეთ რომელიმე ერთნიშნა რიცხვი და მიუწერეთ იმდენი, რომ ცხრა გახდეს. ჯამს მიუწერეთ 18 და გაამრავლეთ სამზე. ნამრავლს გამოაკლეთ ჩაფიქრებული რიცხვი და რიგრიგობით დამისახელებთ მიღებული ნაშთი; მე დაგისახელებთ თქვენ მიერ ჩაფიქრებულ რიცხვს.

მე 79 მივიღე. თუ ბიჭო ხარ, მიხვდი, რა რიცხვი ჩაიფიქრე,— დაასწრო სხვებს ერთმა ამხანაგთაგანმა.


- ორი,—იყო რეზოს მოკლე პასუხი.
- მე კი 74 მივიღე.—წარმოსთქვა მეორემ.
- შენ, ჩემო კარგო, შვიდი ჩაიფიქრებია,—უპასუხა რეზო.
- მე 72 მივიღე,—სთქვა მესამემ.
- შენ 9 ჩაიფიქრებია,—მასაც დინჯად უპასუხა რეზო.

ამხანაგების განცვიფრებას სახლვარი არ ჰქონდა, რადგან რეზომ სრული სიხუსტით გამოიცნო ამხანაგების მიერ ჩაფიქრებული რიცხვები.

როგორ გამოიცნო რეზომ?

### ნათლ ჩუბინიძე

## სამხედრო გამოცანა



დიდი სამამულო ომის დროს ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ჩვენებმა მწყობრიდან გამოიყვანეს მეტრის ტანკი. ჩვენმა მზვერავებმა მიიღეს დავალება გაეისინჯათ ტანკი შიგნიდან. წინ ღრმა, 3 1/2 მეტრის სიგანე თხრილი იყო, თხრილის ორივე გვერდზე—მავთულხლართებიანი დანადგომი მინდორი. მაშასადამე, ტანკთან მისასვლელად თხრილზე უნდა გადასულიყვნენ მზვერავები. თხრილთან მათ ნახეს ორი ფიცარი—თითო 3 მეტრის სიგრძე, მაგრამ არ იყო არც ლურსმანი, არც სხვა რამ ამ ფიცრების შესაკრავად. „მოვიფიქრე“,—სთქვა ერთმა მზვერავმა, და ყველანი სწრაფად გადავიდნენ მეორე მხარეზე ფიცრების საშუალებით.

როგორ გადავიდნენ?

## გამოცანები

წყალსა სვამს—ხარი არ არის, ანთებს—მოვარე არ არის. გუგუხებს, როგორც ქარხანა, ზოგს კაცი დაჰყავს სულ მუდამ, ზოგს დააქვს ბარგი-ბარხანა.

არც ხარი არის არც ცხენი, არც კამეჩია ნიკორა, გადახნა მინდორ-ველები, ბელტი ბელტს გადააგორა.

## პასუხი

ქულნალ „პიონერის“ № 9-ში მოთავსებულ შარადაზე:

(რ)იონ(ი), პ(ინ)კი, ერი—პ-იონ-ერი

შარადა ამოხსნეს და პასუხი გამოგზავნენ. შეადგემა პიონერ-მოსწავლეებმა: იულია ქათამაძემ (ორპირი), მალხაზ ბებურიშვილმა (აბ. აბაშა), ლამარა რამიშვილმა (მახარაძე), ლილი კაჭარავამ (აბაშა), ბიძინა სიკინავამ (თბილისი), ლილი არშაკუნმა (გორი), ჰ. ყუფარაძე (ქუთაისი), ვახტანგ ჯავახაძემ (ქუთაისი), გური აბრამიძემ (ვანი), მამია ჯოლიამ (ფოთი), ლაურა კახაძემ (მაიაკოვსკი), ნელი ხუალაძემ (ყვარელი), მერი კალაძემ (ვანი), ნუნუ კარიულმა (ღუშეთი).



4/3

47-24/3  
ՅԵՐԵՎԱՆԻ  
ՅՈՒՐԻՍՏՈՒՅՑ

ՅՆՆՈ 5 ՁԳԵ.

# ՅՈՒՆԵՐԵԹՈՆ ԹԱՐՄՈ

ՅԵՐԵՎԱՆ 30. ՅՈՒՆԻՈՒՆ 1926

Marcia

A handwritten musical score for a march titled "Younerethoun Tharmoun". The score is written on eight systems of two staves each (treble and bass clef). The key signature is one sharp (F#) and the time signature is 4/3. The piece begins with a forte (f) dynamic and includes various musical notations such as slurs, ties, and accents. Dynamic markings include *mp* (mezzo-piano) and *p* (piano). The score concludes with a double bar line and a final chord.